წელიწადი მესამე | ფასი 7 კაპ. | შაბათი, 22 აპრილი, 1917 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ ასოებით პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს უცვლელად 10 კაპ.

№ 86 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 86

გ ა ზ ე თ ი
„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო"
ღ ი რ ს:
მთელის წლით—15 მ., 1/2 წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ.80კ.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).

კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7საათამდე.

1 აპრილიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ." ეღირება 11 მ.—25 კ.

ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.

რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპიძე.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო".

კვირას, აპრილის 23-ს, დიდუბის ტაძარში გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი ისტორიკოს-არქეოლოგოსის

თევდორე დავითის ძის

ჟორდანიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ საზოგადოებას განსვენებულისშვილები. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი—შუადღის 12 საათზე. (1—657—1)

ვერა ანტონის ასული და გიორგი პავლეს ძე ჟორდეზიანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ ტრაგიკულად გარდაცვალებას პირველი ძვირფასის ძმის, ხოლო მეორე ცოლის ძმის

მიხეილ ანტონის ძის

ჩიქიმიძისას

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება თბილისის რკინის გზის საავადმყოფოს კარის ეკლესიაში, 22 აპრილს, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება 23 აპრილს; დაკრძალვა ამავე დღეს წმიდა ნინოს სასაფლაოზე. (1—611—1)

თბილისის წვრილო ვაჭრებო!

კვირას, 23 აპრილს,

დანიშნულია თბილისის წვრილ ვაჭართა საზოგადო კრება

ახალ კლუბის ბაღში

(თავად-აზნაურთა ქარვასლასთან)

შესასვლელი სასახლის ქუჩიდან (დვორცოვი) და ფრეილინის ქუჩიდგანაც.

კრება გაიხსნება დილის 10 საათზე.

ვსთხოვთ უმორჩილესად თბილისის ყველა წვრილ ვაჭრებს, მობრძანდნენ უსათუოდ ამ საზოგადო კრებაზე დილის 10 საათზე.

განსახილველი საგნებია: 1) მოხსენება თანამედროვე მდგომარეობაზე. 2) წვრილ ვაჭართა საზოგადოების მტკიცე შეკავშირებაზე და 3) არჩევა წვრილ-ვაჭართა საზოგადოების მთავარი კომიტეტისა.

(4—610—3) თბილისის წვრილ ვაჭართა კომიტეტი.

შაბათს, 29 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზედ

სახელმწიფო თეატრში

დანიშნულია

საზეიმო ეროვნულ-კულტურული კრება

ვალერიან გუნიას

პატივსაცემად და 35 წლის მოღვაწეობის საჯაროდ აღსანიშნავად

სამწერლო, სასცენო და საზოგადო ასპარეზზედ.

1882—XXXV—1917

დაწვრილებით პროგრამა ცალკე გამოცხადდება.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

საზეიმო კრების მომწყობნი { ქართული დრამატ. საზოგადოების გამგეობა, საჯარო პატივცემის მომწყობი კომიტეტი და ქართველ მსახიობთა კორპორაცია.

იმავე დღეს საღამოს იმავე თეატრში

სადღესასწაულო წარმოდგენა

(12—645—6)

ზ. მ. არჯევანიძის სკოლაში,

ვალვერის ფუეში

საჭიროა ქართველი ქალი

ბავშვების ვარჯიშობისა და სიმღერის მასწავლებელი.

მისამართი: მალაკნის ქუჩა 27, საღამოს 5 საათზე.

(1—612—1)

თბილისის კოოპერატიული სასადილოების გამგეობა

ამით აცნობებს ბ.ბ. წევრთ, რომ შაბათს, 22 აპრილს საღამოს 7 საათზე, დანიშნულია გაგრძელება ჩვეულებრივი

საზოგადო კრებისა

სასადილოთა საზოგადოების დარბაზში.

კრების საგანი:

1) ხარჯთ-აღრიცხვა სასადილოსი 1917 წ.
2) გახსნა განყოფილებისა და მისი ხარჯთ-აღრიცხვა.
3) რეორგანიზაცია გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
4) არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
5) დღიური საკითხები.

(1—613—1)

ქალთა თავისუფალი აუდიტორია.

კ. ი. დოდაშვილი

სისტემატიურად კვირაში ორჯელ წაიკითხავს ქართულ ენაზე

ლექციებს

ქართული ენისა, ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ.

პირველი ლექცია დანიშნულია კვირას, 23 აპრილს, დილის 12 საათზე, ლექტორის ბინაზე. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ—გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 27, ბინა 6. (3—უ—2)

ჟურნალ ჯეჯილისთვის

ს ა ჭ ი რ ო ა

ა ს ო თ - ა მ წ ყ ო ბ ი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თვით რედაქტორს, ანასტასია წერეთლისას (არტილერიის ქუჩა, № 5). 1—605—1)

## თბილისი, 22 აპრილი.

**ქართული „ბოლშევიზმი"**

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტების შეერთებულ სხდომაზე 19 აპრილს, დადგენილ იქმნა, კონფისკაცია ექმნას პეტროგრადის ბოლშევიკურ გაზეთ „პრავდას" ნომრებს, ხოლო „კავკაზსკი რაბოჩის" და საზოგადოთ ბოლშევიკების წინააღმდეგ გაწეულ იქმნას მძაფრი წერილობითი კომპანია.

როდესაც პეტროგრადში ოთხ აპრილს „ბოლშევიზმის" ლიდერმა ლენინმა, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, პირველი საჯარო „ექსპოზე" მოახდინა, თუ როგორ ესმის მას რუსეთის რევოლიუცია, პასუხი პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელმა ი. წერეთელმა გასცა. რუსეთის პრესსამ ერთხმად აღნიშნა ი. წერეთლის გამარჯვება და ლენინის დამარცხება. ი. წერეთლის თვალსაზრისი რუსეთის რევოლიუციის შესახებ სახელმწიფოებრივ შეხედულებათ იქმნა აღიარებული, ლენინისა კი ანარხიულად. მაგრამ ცხადია, რომ საზოგადოთ „ბოლშევიზმი" და კერძოთ ლენინის მიერ განზრახული „ბოგანოთა დეპუტატთა საბჭო" ამით არ დამარხულა. რასაკვირველია, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ბოლშევიზმისა" და წმინდა „ლენინიზმის" შორის არის ზოგი რამ განსხვავებაც, მაგრამ თუ რევოლიუციის წინადროინდელ „ბოლშევიზმს" ავიღებთ, რომლის შემქმნელი იგივე ლენინია, უნდა ვიფიქროთ, რომ „ბოლშევიზმიც" იმასვე ლაპარაკობს რასაც „ლენინიზმი", მხოლოდ სიტყვათა იმ განსხვავებით, რომელსაც ანგარიშს არ უწევდა გიოტეს გულუბრყვილო გრეტხენიც კი. „ბოლშევიზმი", რომელიც სულ ახლო მომავალში „ლენინიზმს" გულისხმობს, ისევ არსებობს და მთელ რუსეთს ედება. ასეთ რამეს ვერ ასცდებოდა რასაკვირველია, ვერც საქართველო. და რომ ეს ასეა ამას მოწმობს არა მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენ გვყვანან ჩვენი ბოლშევიკები, არამედ ისიც რომ ბოლშევიკური რამ განუზრახავთ არა „მეუმრავლესე" სოციალისტ-ფედერალისტებსაც.

„სახალხო ფურცელი" პირველ მაისის დღესასწაულის ანგარიშში პირდაპირ ამბობს, თუ საითკენ მოუწოდებდნენ მათი ორატორები „გზა და გზა" ხალხს—„სოციალურ რევოლიუციის მოსახდენათ!" ასეთი შეგნება რევოლიუციის მიზნებისა „ლენინიზმთან" აკავშირებს მათ, დაღრმა სახელმწიფოებრივი აზრი რუსეთის რევოლიუციისა მათაც ისევე უარყოფს, როგორც უარჰყოფს ბოლშევიზმს.

რასაკვირველია აქ იბადება მეორე საკითხიც: თუ ფედერალისტები მომხრე არიან სოციალურ რევოლიუციისა, რას უშვრებიან ავტონომიას და ფედერალიზმს, რომელიც მთავარი ღერძია მათის პროგრამისა. სოციალურ რევოლიუციის მომხრეთ უნდა ესმოდეთ ისიც, რომ ასეთი რევოლიუცია მუდამ პერმანენტული უნდა იყოს, რომელიც გულისხმობს რა სრულყოფილ თავისუფლებას, არავითარ ეტაპებს არ გულისხმობს და ხალხი პირდაპირ სოციალიზმისაკენ მიჰყავს. მაშასადამე ავტონომიის საკითხი მათ ხელსა და ხელს შუა უქრებათ და როგორც მოთხოვნილება მოკლიბული რეალობას რუსეთის რევოლიუციის მორიგ საკითხთა შორისაც არ ირიცხება.

## კლასთა ბრძოლა ახალი გზით

სარევოლიუციო სტიქიონი რუსეთის უფლებრივი ცხოვრების გარდაქმნით არ კმაყოფილდება. ის ხალხის ეკონომიურ ურთიერთობაშიაც შეიჭრა და ეს ბუნებრივია. გასაოცარი იქმნებოდა, რომ ამ საყოველთაო განახლების დროს უცვლელად დარჩენილიყო ქალაქის თუ სოფლის მუშის მდგომარეობა, მათი მწარმოებელთან დამოკიდებულება. ამ სფეროში ბევრი რამ ძველს რეჟიმს ეყრდნობოდა და მას უნდა გაჰყოლოდა. ბევრი რამ ცვლილებები კი თავის თავად იგულისხმება იმ უდიდეს გარდაქმნის შემდეგ, რომელიც მოახდინა რევოლიუციამ.

საფიქრებელი იყო, რომ უზომო და თანამედროვე ცხოვრებასთან შეუსაბამო გახდებოდა მუშათა კლასის მოთხოვნილებები, რაკი ის ძალას ხელში ჩაიგდებდა. შესაძლო იყო იმას არა მარტო ისეთი მოთხოვნილებები წამოეყენებინა, რომელთა განხორციელებას აიტანს რუსეთის ეკონომიური ცხოვრების პირობები და მის მრეწველობასა და აღებ-მიცემობას არ დაშლის, არამედ ისეთისაც, რომლის დაკმაყოფილება მრავალ წარმოებებს გაანადგურებდა და მით ხალხის ეკონომიურ ცხოვრებას საგრძნობლად დააზარალებდა. ეს თუ ვინმეს აფიქრებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამის მაგალითი მრავალი იყო ევროპის წინანდელ რევოლიუციების დროს. მაგრამ კაცობრიობა იცვლება, წინ მიდის. იცვლება სარევოლიუციო ზნე-ჩვეულებაც.

ევროპიელ მოძმეთა შეცდომების განმეორებას რუსეთის მუშათა კლასი, როგორც სჩანს, ერიდება. ალბათ მას შეგნებული აქვს, რომ ეს შეცდომები მის მდგომარეობას კი არ გააუმჯობესებს, არამედ კიდევ უფრო გააუარესებს. ამ ჟამად სარევოლიუციო ძალა უმთავრესად პროლეტარიატს უპყრია. მას შეუძლიან ძირითადი რეფორმები მოახდინოს მუშათა საკითხის ყოველს სფეროში, მაგრამ ყოველივე ეს რეფორმები ჯერ ჯერობით ჯეროვანის სიფრთხილით ხდება, ვინაიდან პროლეტარიატის შეგნებულმა ნაწილმა უწყის, რომ ის წარმოების ნაწილია და წარმოების დაშლით უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასი ზარალდება. რასაკვირველია რუსეთი დიდი სახელმწიფოა, ამასთანავე საკმაოდ ჩამორჩენილი ქვეყანა და მის ცხოვრებაში, მით უმეტეს ეხლა, რევოლიუციის დროს, მოსალოდნელია ექსცესები და არა შეგნებული გამოსვლები, როგორც მუშათა კლასის, ისე სხვა კლასთა და წოდებათა მხრივ. რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში ასეთს მოვლენებს უთუოდ ადგილი აქვს, მაგრამ ეს რევოლიუციის უცილობელ თვისებად უნდა ჩაითვალოს. მუშათა კლასის ეხლანდელი პოლიტიკა,რაც ამ კლასის მთავარ ორგანიზაციათა გამოსვლებში აშკარავდება, უთუოდ საკმაოდ ზომიერად და შეგნებულად უნდა მივიჩნიოთ.

ვინ დაუშლიდა რუსეთის პროლეტარიატს მთელს რუსეთში აქედანვე 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას: უთუოდ ვერავინ. 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას არა მარტო სოციალისტები, არამედ ყველა დემოკრატიული ელემენტები ემხრობიან. ამ ჟამად, როდესაც მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება დემოკრატიულ წრეების ხელშია, 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას აშკარა წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდა. ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, საყოველთაოდ ასეთი რეფორმების მოხდენას, როგორც არა სოციალისტური, ისე მრავალი თვით სოციალისტური ელემენტებიც წინააღუდგებოდა. თუმცა, შესაძლოა, მის განხორციელებას ხელს ვერ შეუშლიდნენ. ამ რუსეთის მრეწველობასა და აღებ-მიცემობის დღევანდელი ვითარებაც არ წარმოადგენს საკმაო მკვიდრ საფუძველს ყველა წარმოებებში 8 საათის სამუშაო დღის შემოღებისათვის და უთუოდ ასეთი რეფორმა რუსეთის მრეწველობის ზოგიერთ დარგს საყურადღებოდ დააზიანებდა. საერთოდ აღიარებულია, რომ 8 საათის სამუშაოს შემოღება სრულებით არ ამცირებს სამუშაოს ნაყოფიერებას, მაგრამ ეს საყოველთაო კანონი არ არის. ამისთვის საჭიროა მუშათა კლასის და თვით წარმოების განვითარების ერთგვარი სიმაღლე, ზომა, ერთგვარი დონე. ასეთი საყურადღებო რეფორმის შემოღებას ყოველთვის წინ უნდა უსწრობდეს წარმოების მდგომარეობისა და პირობების შესწავლა და გათვალისწინება. უთუოთ ამ გარემოების შეგნების შედეგია, რომ რუსეთის პროლეტარიატი 8 საათის სამუშაოს საყოველთაოდ მთელს რუსეთში არ ანხორციელებს, არამედ ამა თუ იმ ქალაქში, სამრეწველო ცენტრში, და ეს რეფორმა ხდება ადგილობრივი მორიგებით და შეთანხმებით.

წარმოვიდგინოთ, რომ მთელს რუსეთში, ყოველს საქარხნო და სამეურნეო სამრეწველო წარმოებაში განხორციელდა 8 საათის სამუშაო დღე. რა შედეგები მოჰყვება ამას? ფრიად შემცირდება რუსეთის საწარმოვო ნაყოფიერება. ამას კი მოჰყვება ცხოვრების საყოველთაო გაძვირება, რაც მძიმე ტვირთად დააწვება უწინარეს ყოვლისა მშრომელ ხალხს.

ევროპის ზოგს წარმოებებში მუშათა კლასი 8 საათს რომ ინტენსიურად მუშაობს, 8 საათს ისვენებს და დანარჩენ 8 საათს კიდევ სასარგებლოთ იყენებს — სატეხნიკო, საპროფესიო ცოდნას ღებულობს, ან სხვა რამ საქმეს აკეთებს. ის დრო, რომელიც მან მოაკლო იმ წარმოებას, სადაც ის მუშაობდა, არ იკარგება, ახალ ღირებულებებს ჰქმნის. რუსეთში სულ სხვა კულტურა და სულ სხვა ცხოვრების პირობებია. აქ რასაკვირველია, ასე ნაყოფიერად ვერ გამოიყენებს მუშა თავისუფალ დროს. ამიტომ ეს განთავისუფლებული დრო, უმრავლეს შემთხვევაში, სრულიად დაიკარგება საერთო ეროვნული წარმოებისთვის. ეს ქვეყნის ეკონომიური შემოქმედების შემცირებას და დაღარიბებას მოასწავებს.

როგორც 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, ისე სხვა ცვლილებები მუშათა კლასის მდგომარეობაში, ახალის, რუსეთისთვის უცნობის გზით ხდება. ასეთს რეფორმებს სარჩულად ედება მწარმოებელთა და მუშათა შორის წინასწარი შეთანხმება და მორიგება. შეთანხმებისთვის სპეციალური შემარიგებელი კამერები არსდება. ეს ინსტიტუტი უცნობი იყო რუსეთისათვის და მისი შემოღება რევოლიუციის საქმეა. საყურადღებოა, რომ რევოლიუციის დროს, როდესაც მთელი პოლიტიკური ძალა მუშათა ხელშია, და მაშასადამე ძალით მას ბევრი რამეს მიღწევა შეუძლიან, ის ბრძნად არ სარგებლობს ამ ძალით. სწორედ ეხლა იცვლის ის თავის ტაქტიკას.

წინეთ თუ რუსეთის მუშათა კლასი ჰფიქრობდა, რომ მას თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება შეეძლო მხოლოდ ბრძოლით, ძალით, ეხლა ის უწინარეს ყოვლისა მორიგებას და შეთანხმებას მიჰმართავს. ამისთვის მთელს რუსეთში მრავლად არსდება მუშათა და მწარმოებელთაგან თანასწორად არჩეული კამერები, რომელთაც უნდა განიხილონ ყველა მუშათა და მწარმოებელთა შორის ატეხილი დავა და უთანხმოება. პეტროგრადში ცენტრალური შემარიგებელი კამერაც კი დაარსეს. ეს კამერა ერთგვარი უმაღლესი ორგანო იქნება ყველა იმ კამერებისთვის, რომელნიც დაარსებულია თითოეულს ქარხანასა და წარმოებაში. ამ კამერის წესდების მე-6 მუხლი ამბობს—„კამერის განაჩენი სავალდებულოა მოწინააღმდეგე მხარეთათვის". თუ ამას დაუმატებთ კიდევ, რომ ეს კამერა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ხარჯით ინახება და მის უფლებაშია, დავრწმუნდებით, რომ შემრიგებელ კამერათა ინსტიტუტი რუსეთში სახელმწიფოებრივ ფორმას ღებულობს. ასეთს ძალით და მნიშვნელობით შემრიგებელი კამერები სრულიადაც არ არის ცნობილი ევროპის ქვეყნებში. იქ ეს უბრალო და წინასწარი შეთანხმების ორგანოა და სავალდებულო ხასიათი ამ კამერების დადგენილებებს იშვიათად ეძლევა.

შეუგნებელი მუშა ძველად თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას ქარხანა-ფაბრიკების რბევით და მანქანების მტვრევით სცდილობდა. გაფიცვა მისთვის ხომ უმშვიდობიანესი საშუალება იყო თავის ინტერესების დასაცავად. თუ მუშას ძალა შესწევდა, მისი მოთხოვნილება უსაზღვრო და დაუსრულებელი იყო. მას სრულებით არ ჰქონდა გათვალისწინებული თუ რამდენად შეეძლო წარმოებას ასეთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ეხლანდელი მუშა ასე როდი იქცევა. ის წარმოებას ადევნებს თვალყურს, თუ ის ჰყვავის, შრომის ფასის მომატებას და პრემიებს მოითხოვს. თუ წარმოება შეფერხებულია, ისიც ერთგვარ მინიმუმს უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან მეტს ვერ აიტანს წარმოება და წარმოების დაშლა კი მისთვის სრულიად არ არის ხელსაყრელი.

მაშასადამე მუშამ უწინარეს ყოვლისა თვით წარმოებას უნდა ადევნოს თვალყური და მისი მდგომარეობა გაითვალისწინოს. ამის შემდგომ შეთანხმება, შერიგება მწარმოებელთან შრომის პირობების გასაუმჯობესებლად და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ბრძოლა და გაფიცვა. ამ დასკვნამდე მიიყვანა ევროპის მოწინავე მუშები კლასთა ბრძოლის ისტორიამ და ამავე გზას ადგება რუსეთისა და საქართველოს მუშებიც ამ საერთო განახლების ჟამს.

ა. ახათიანი.

# რევოლიუცია

## დეპეშები

### მთავრობის წინააღმდეგი მოძრაობა პეტროგრადში

**პეტროგრადი,** 20 აპრილი. დროებით მთავრობის ნოტამ დიდი აღელვება მოახდინა ჯარის ზოგიერთ ნაწილში. დღეს მარინეს სასახლესთან მივიდა ფინეთის პოლკი განსაკუთრებულ პლაკატებით, რომლებზედაც ეწერა მოთხოვნილება იმპერიალისტური პოლიტიკის უარისყოფისა და გუჩკოვ-მილიუკოვის თანამდებობიდან გადაყენებისა. ფინეთის პოლკის გარდა სასახლეში მოვიდნენ ჯარის სხვა ნაწილებიც და მათ შორის მოსკოვის პოლკი. მუშათა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შესაფერი ზომები მიიღო ჯარების ყაზარმებში დასაბრუნებლად და განაცხადა რომ მას განზრახვა აქვს მთავრობის ნოტას შესაფერი პასუხი გასცეს, მაგრამ საჭიროდ არა სთვლის მის ჩამოგდებას. მთავრობის ნოტამ აღელვება შეიტანა მუშათა წრეებშიდაც; მთელი დღის განმავლობაში ქალაქში მიტინგები და მანიფესტაციები იმართებოდა და ყოველგან პლაკატები იყო ამართული შემდეგი წარწერებით: „ძირს მთავრობა, ძირს მილიუკოვი და გუჩკოვი". მთავრობის მომხრე მანიფესტაციებსაც ჰქონდათ ადგილი.

სოციალისტურ წრეებში ნოტა მეტად უსიამოვნოთ მიიღეს.

ჯარის კაცთა და მუშათა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის გუშინდელს არაჩვეულებრივს კრებაზე მსჯელობა იქონია ნოტის შესახებ, რომელზედაც სხვა და სხვა მიმართულებათა წარმომადგენლები აღიარებდნენ, რომ ნოტა ეწინააღმდეგება მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს მიმართვას ყველა ქვეყნის ერთა მიმართ.

სხდომას მაინც არავითარი დადგენილება არ გამოუტანია.

დღეს დილით აღმასრულებელმა კომიტეტმა კვლავ იქონია მსჯელობა ამ საკითხის შესახებ და გადასწყვიტა გაიგონ მიზეზები, რომლებმაც მთავრობა ასეთ გამოსვლისათვის აიძულა, ამიტომ კომიტეტმა წინადადება მისცა მთავრობას დანიშნოს მთავრობისა და აღმასრულებელ კომიტეტის შეერთებული სხდომა.

მთავრობამ წინადადება მიიღო.

**22 სოციალ-დემოკრატების კრება.**

**სტოკჰოლმი.** ვენიდან ტელეგრაფით იტყობინებიან: გუშინ 19 აპრილს, აქ მოხდა 22 სოციალ-დემოკრატების კრება, რომელშიაც მართველობა არ ჩარეულა. რეზოლიუცია, რომელიც პარტიის პრეზიდიუმმა წარადგინა, ყველგან ერთხმად მიღებული იქმნა. დაწვრილებით ცნობებს არ გვატყობინებენ.

**1 მაისობა გერმანეთში.**

ბერლინიდან ჯერ-ჯერობით არაფერი ცნობა არ მიუღიათ იმის შესახებ, თუ როგორ ჩაიარა 1 მაისობამ გერმანეთში, ნორდაუს სააგენტოს მოკლე ცნობის მეტი, რომ ყველგან გერმანელმა მუშებმა პროფესიონალურ კავშირების რჩევისდა მიხედვით თავი შეიკავეს ყოველგვარ გამოსვლისაგან. ბერლინსა და მის მიდამოებში ყველა ფაბრიკებში მუშაობა წესიერად სწარმოებდა, ქუჩის ცხოვრება ძველებურად მიმდინარეობდა. გერმანული გაზეთები აქ არ მოდიან, იმის შესახებ თუ პირველ მაისობამ როგორც ჩაიარა ავსტრო-უნგრეთში, ცნობები არ არის.

**სასურსათო საკითხი თურქესტანში.**

**ტაშკენტი,** აპრილის 19. სასურსათო საკითხის გამწვავებისა გამო თურქესტანში, დროებითი მთავრობის აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა ოლქის აღმასრულებელ კომიტეტებს სასურსათო საქმის წარმოებაში შეიტანოს შემდეგი რეორგანიზაცია: მთავრობის კომიტეტთან უნდა დაარსდეს ოლქის სასურსათო კომიტეტი, რომელშიაც შევლენ თითო ოლქიდან თითო წარმომადგენელი, რომელთაც ამოირჩევს ოლქის სასურსათო კომიტეტი და სამი მთავრობის მიერ დანიშნული წევრი. რეორგანიზაციის პროექტი ერთხმად მიღებულ იქმნა სიეზდის მიერ.

**პირველი მაისი შვედეთში.**

**სტოკჰოლმი.** აპრილის 18. პირველი მაისის დემონსტრაციებმა შვედეთში მშვიდობიანად ჩაიარეს. მონაწილეობას იღებდნენ აუარებელი მუშები. სტოკჰოლმში სოციალ-დემოკრატების პროცესიაში იყო 60.000 კაცი. სტოკჰოლმის მიდამოებში 5 ადგილას დაიდგა ტრიბუნა, რომლის გარშემო თავს იყრიდა აუარებელი ხალხი. ორატორებად გამოდიოდნენ ლიდერი სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობისა ბრანტინგი და წინამძღოლი რადიკალური უმცირესობისა ლინდჰაგენი. მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: უნდა გადათვალიერდეს ძირითადი კანონები შვეციისა. უნდა აღდგეს საერთაშორისო სოციალისტური ზავი და უნდა განხორციელდეს 8 საათის სამუშაო დღე. პოლიციასთან შეხლა არა ყოფილა.

**შვედეთი არეულობის მოლოდინში.**

**ჰელსინგფორსი.** აპრილის 18. ქალაქში მშვიდობიანობა სუფევს. აღელვება, რომელიც გამოიწვია ბნელმა ხმებმა 1 და 2 მაისის უწესოების, ინტელიგენციისა და ოფიცრების გაჟლეტის შესახებ, საბოლოოდ დაცხრა. ორივე დღემ სრულიად მშვიდობიანად ჩაიარა. ამის გამო გადაწყვეტილია მოიხსნას სამხედრო დაცვა ტელეფონისა, ტელეგრაფის, წყლის სადენისა და ელექტრონის, სტანციისა, რომელიც ერთი დღის წინ დაინიშნა.

**პირველი მაისი უცხოეთში.**

**კოპენჰაგენი.** აპრილის 18. პირველ მაისობამ მშვიდობიანად ჩაიარა. ქალაქის შენობები მორთული იყო ეროვნული ფლაგებით ნიშნად სოციალისტების გამარჯვებისა უკანასკნელ არჩევნებში, რომ ძალა მათ ხელში იყო. ჩვეულებრივ პროცესიაში ხვდებოდა დროშები შემდეგი წარწერით: „ნორვეგია არ ჩაერიოს ომში".

**გლეხთა დეპუტატების საბჭო.**

**პეტროგრადი.** გლეხთა 27 გუბერნიის ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა, არმიის, მთავარი ორგანიზაციის და პეტროგრადის ოლქის კომიტეტმა სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირისა, საჭიროდ სცნეს შეიქმნას სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭო, რაც შეიძლება მალე. დეპუტატთა სიეზდი დანიშნულია პირველ მაისს, მაგრამ საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუძლიანთ შემდეგაც გამოცხადდნენ. არჩევნები უნდა მოხდეს ყოველს როტაში, ესკადრონში, ბატარეიაში და ყოველს სათანადო სამხედრო ნაწილში. არჩეულ უნდა იქმნეს თითო კაცი, რომლებიც შემდეგ აირჩევენ დეპუტატებს, რომელიც აღნიშნულია რაიონის ან და სამხედრო ნაწილის ინსტრუქციაში.

განათლების მინისტრმა შესცვალა ზოგიერთი ძველი ცირკულიარული დადგენილება, რომელიც არ შეესაბამება ახალს სახელმწიფოებრივს ცხოვრებას, მათ რიცხვში დადგენილებანი არასასურველ მასწავლებელთა გიმნაზიიდგან დათხოვნისა, ებრაელთა მიღებისა სასწავლებლებში, მოხელეთა პარტიებში მონაწილეობისა. დადგენილება იმის შესახებ, რომ არა ქრისტიანთ არ მიეცეთ მოწმობა მასწავლებლობის წოდებისა, რომ მოწაფეთ აკრძალული აქვთ სიარული სასამართლოს კრებებზე და საეროპო ყრილობათა, წიგნების გამოცვლისა და სხვა.

**დროებით კომიტეტი ოფიცერთა და ჯარის კავშირი.**

**პეტროგრადი.** 19 აპრილი. ბანაკიდგან იუწყებიან: 16 აპრილს ოფიცერთა და ჯარის კავშირის დროებით მთავარ კომიტეტის სხდომაზე, ამ კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა პოდპოლკოვნიკი მთავარი შტაბისა ლებედევი და კომიტეტის წევრი—სეკრეტარად პოდპოლკოვნიკი პრონინი.

**ებრაელთა შუამდგომლობა.**

**თეოდოსია.** 19 აპრილი. ელეს ებრაელთა სათვისტომომ შუამდგომლობა აღძრა ა. ფ. კერენსკისთან, რათა გადასინჯულ იქმნეს იმ ებრაელთა საქმე, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ შპიონაჟში, რომელსაც ძველი მთავრობა არა სდევნიდა, პირ-აქეთ ერთის მხრივ ხელსაც უწყობდა.

**მიწის საკითხი.**

**სამარა.** აპრილის 19, სოფელ სტუდენში, სამარის მაზრაში, გლეხთა ყრილობაზე სამარისა და ნიკოლაევის მაზრებისაზე აღიძრა კამათი მიწაზე, რომელიც იჯარით აღებული ჰქონდათ ვაჭარ არახანოვისაგან, რომელიც უქადიდა შეტაკებაზე გადასვლას. აღმასრულებელ კომიტეტების დეპუტატებმა შესძლეს შეტაკების შეჩერება. მოწვეულმა ყრილობამ შესძლო დაეკმაყოფილებინა მოდავე მხარეები. მიწა ჩაჰბარდათ ძველ პირობების ფასით.

**პარლამენტთა სავაჭრო კონფერენცია.**

**პეტროგრადი.** პარლამენტთა შუსავაჭრო კონფერენციის რუსთა ჯგუფის თავმჯდომარემ გიმირიახტმა კონფერენციის მთავარ მდივანს შეუთვალა, რომ რუსეთში მომხდარ ამბების გამო რუსეთის საკანონმდებლო პალატათა წევრნი ზემოხსენებულ კონფერენციას ვერ დაესწრებიან და თავის წარმომადგენლებს რაფადოვიჩს ანდობენო.

## დროებითი კანონი ქალაქთა უბნების მმართველობისა

**პეტროგრადი.** 1. იმ ქალაქებში სადაც არა ნაკლებ 150,000 მცხოვრებელია ქალაქის თვითმართველობას უფლება აქვს დააწესოს ქალაქის საუბნო მმართველობა. ამ მიზნისათვის ქალაქის უბნებად დანაწილება უნდა შეესაბამებოდეს, როგორც ქალაქის არსებულ ადმინისტრატიულ დანაწილებას, ისე ქალაქის სხვა და სხვა კუთხის ტოპოგრაფიულს ადათ-ჩვეულებრივს და სხვა თავისებურებას. რათა ქალაქის თვითმართველობის დადგენილება საუბნო მმართველობის შესახებ კანონიერად ჩაითვალოს, საჭიროა იგი გადასწყდეს ხმოსანთა ხმის უმეტესობით, რომელიც უნდა აღემატებოდეს ამა თუ იმ ქალაქში დაწესებულს რიცხვის ნახევარს.

2. ქალაქის საუბნო მმართველობა ხელს უწყობს ქალაქის საერთო მმართველობას ქალაქის მეურნეობისა და მართვა-გამგეობის საქმეში, რომელიც შეეხება ქალაქის სხვა და სხვა უბანს. ქალაქის ამგვარი გამგეობის დაწვრილებითი წესის გამომუშავება ევალება ქალაქის თვითმართველობას.

3. ქალაქის საუბნო მმართველობას ადგენს საუბნო უპრავა.

4. საუბნო სათათბირო (дума) შესდგება ხმოსნებისაგან, რომელნიც არჩეულ იქმნებიან ამ დროებით კანონთა მე-12 მუხლის წესით. საუბნო სათათბიროს ხმოსანთა რიცხვი უნდა იყოს არა ნაკლებ 20 და არა უმეტეს 50. ქალაქის თვითმართველობას შეუძლიან უბანში მცხოვრებელთა რიცხვის მიხედვით შესცვალოს უბნის სათათბიროს ხმოსანთა რიცხვი. უბნის სათათბირო თავის რიცხვში ირჩევს სათათბიროს თავმჯდომარეს თავის რწმუნებულობის ხნის მიხედვით. თავმჯდომარე და ხმოსნები უბნის სათათბიროსი ჯამაგირს იღებენ ქალაქის თვითმართველობის დაწყებისამებრ.

5. უბნის უპრავა შესდგება თავმჯდომარისა და წევრებისაგან, რომელთა უდიდეს რიცხვს ქალაქის სათათბირო აწესებს. თუ ქალაქის სათათბიროში რომელიმე უბნის საქმე ირჩევა, საჭიროების და მიხედვით შეიძლება მიწვეულ იქმნეს თავმჯდომარე უბნის სათათბიროსი და უპრავისა გადამწყვეტი ხმით; ამ გვარსავე შემთხვევაში შეიძლება მიწვეულ იქმნეს ქალაქს გამგეობის სხდომაზე თავმჯდომარე უბნის უპრავისა გადამწყვეტის ხმით. ამას გარდა უბნის მმართველობათა მოქმედების გასაერთიანებლად ქალაქის უპრავა მოიწვევს ხოლმე, დანიშნულს დროს, ყველა უბნის სათათბიროსა და უპრავის თავმჯდომარედ.

6. ქალაქის საუბნო მმართველობა მოქმედობს დაკისრებულს საქმეთა შესასრულებლად იმ კანონთა მიხედვით, რომელნიც შემუშავებულ არიან ქალაქის საერთო მართვისათვის. ამასთანავე ამ კანონთა განსავითარებლად ქალაქის სათათბიროს უფლება აქვს გამოსცეს ქალაქის საუბნო მმართველობისათვის სხვა და სხვა ინსტრუქციები.

7. დაკისრებულ საქმეთა შესასრულებლად საჭირო ფულს, ქალაქის საუბნო მმართველობა მიიღებს ქალაქის სათათბიროსაგან. მას შემდეგ, როცა საუბნო უპრავის მიერ შემუშავებულს და საუბნო სათათბიროს მიერ მოწონებულს ხარჯთ-აღრიცხვას გადაათვალიერებს და დაამტკიცებს.

8. დანახარჯ ფულის მოხსენებას (ОТЧЕТЪ) ადგენს საუბნო უპრავა, რომელსაც გადაათვალიერებს საუბნო სათათბიროს მიერ არჩეული სარევიზიო კომისია, და საუბნო სათათბიროს მიერ დადასტურებული წარდგენილ უნდა იქმნეს ქალაქის სათათბიროში.

9. საუბნო სათათბიროს ყოველი დადგენილების (საჭირო დამატებებით) ასლი 6 დღის განმავლობაში დღიდან ხელის მოწერისა, წარდგენილ უნდა იქმნეს საუბნო უპრავის მიერ ქალაქის უპრავაში. თუ ქალაქის უპრავა სცნობს, რომ საუბნო სათათბიროს დადგენილება არ შეესაბამება მომქმედ კანონებს ან და ეწინააღმდეგება საერთოდ ქალაქის ინტერესებს, მას შეუძლიან შეაჩეროს მის სისრულეში მოყვანა და გადასცეს საქმე გადასაწყვეტად ქალაქის სათათბიროს, რომელიც საბოლოოდ გარდასწყვეტს საქმეს.

10. მთავრობის ორგანოთა თვალყურის დევნება ქალაქის საუბნო მმართველობათა საქმიანობისა განხორციელებულ იქმნება იმ წესით, რომელიც აღნიშნულია ქალაქის მართვის საქმიანობის თვალყურის მადევნებელს კანონში.

## ეროვნული საკითხი

(დეპეშები)

**ფინეთი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგია.**

**ჰელსინგფორსი.** შვედელთა რექტორთა საკრებულოში ხურნშორგმა წარმოსთქვა სიტყვა, სადაც გაატარა ის აზრი, რომ ფინეთი ყოველთვის დასავლეთ ევროპის კულტურის გავლენის ქვეშ იყო, უფრო კი გერმანეთისო, საიდანაც ის მუდამ ებრძოდა დესპოტიურ აღმოსავლეთს, ესე იგი რუსეთსო. როდესაც შეეხო სისტემას რუსეთის მომავალ ფედერატიულ რესპუბლიკის მოწყობისას, ის აზრი გაატარა ეს ფედერაცია უქადის ფინეთს ყოველივე მის უფლების დაკარგვით რაც მას დღეს ქონდაო.

**უკრაინის მელიკორუსები.**

**კიევი.** კიევში შესდგა კავშირი იმ რუსებისა, რომელნიც უკრაინაში ცხოვრობენ. კავშირი მშობლიურ ენათ აღიარებს რუსულს და მოითხოვს პოლიტიკურ-კულტურულ თავისუფლებას უკრაინაში.

**პოლონეთის კონსტიტუცია.**

**მოსკოვი.** აპრილის 20-ს პოლონეთის კონსტიტუციის წლის თავი. 3 მაისს (ახალ სტილით) ყველა პოლონეთის კოსტელებში გადახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა.

## საქართველოს შინაური მდგომარეობა რუსეთთან შეერთების დროს

(მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

(დასასრული)

ოსები რიცხვით 25,000 სულამდის იყვნენ. მათი ერთი მესამედი ცხოვრობდა კავკასიის ქედის იქით და საქართველოს სრულებით არ ემორჩილებოდა, მეორე მესამედი კავკასიის ქედის აქეთ სცხოვრებდა, ჩვენ მეფეებს ემორჩილებოდა და ათ ხარკს აძლევდა, დანარჩენი ბარში სცხოვრობდა და ისეთივე პირობებში სცხოვრებდა, როგორც საზოგადოდ ყველა ქართველები და მათგან შინაური ყოფა ცხოვრებითა თუ ზნე ჩვეულებით სრულიად არ განირჩეოდა.

1737 წელს მეფე ალექსანდრემ ჯავის ხეობის ოსები ბარნა მაჩაბელს უბოძა გლეხებათ. დანარჩენნი კი თითონ დაემორჩილენ ქსნისა და არაგვის ერისთავებს.

1740 წელს მეფე თეიმურაზმა არაგვის ერისთავებს სიდამონოვის ჯავრისას წაართვა ოსები და აჩუქა ერისთავებს ჩოლოყაშვილების გვარისას.

1770 წელს მეფე ირაკლიმ სულ გააუქმა არაგვის საერისთავო და თავის შვილებს გადასცა. ამ დღიდან ოსებს მოურავებს ბატონიშვილები ნიშნავდენ და გადასახადსაც ბატონიშვილებს აძლევდნენ.

**საქართველოს თათრები.**

მთელი საქართველოს სამხრეთის საზღვარი, დღევანდელი ბორჩალოსა და ყაზახის სამაზროები დასახლებულნი იყვნენ თათრებით, რომლებიც საქართველოს ეკუთვნოდენ. ეს მიწები საქართველოს ქრისტეს საუკუნის პირველი ხანიდან ეკუთვნოდა, *) მათზედ ქართველ მეფეებისაგან დასახლებულნი იყვნენ სომხები. თათრების დასახლება ამ ადგილებზედ დაიწყო 1840 წელს.

*) დღეს კი გაიძახიან ეს მხარე საქართველოს ტერიტორიას უნდა ჩამოეჭრასო.

როდესაც საქართველო სპარსეთის მორჩილებაში გადავიდა, მათმა შაჰებმა იწყეს ამ ადგილებზე თათრების გადმოსახლება, რათა აქ ყოლოდათ ავანგარდი თავიანთი მორწმუნე ერისა და უფრო თვალ-ყური ედევნებიათ ქართლ კახეთის მეფეებისთვის. მათი რიცხვი 35,000 აღემატებოდა, და თავიანთი ხანების უფროსობის ქვეშ იმყოფებოდენ. მეფე ირაკლიმ ისარგებლა სპარსეთის არეულობით, თავისი მიწა-წყალი შემოიერთა და მასთანვე მასზედ დასახლებულნი თათრებიც დაიმორჩილა და დაიმ ინა. მათი ყოფა ცხოვრების თვალყურის მდევნელად და აგრეთვე ხარკის ამკრეფად და მასთანვე შუამავლად მათსა და მეფის შორის ირაკლი მეფე ქართველი თავადებისაგან ნიშნავდა მოურავებს. მაგ. ყაზახის მოურავად იყო გარსევან ჭავჭავაძე და ბორჩალოსი სოლომონ ავალიშვილი.

**სომხები საქართველოში.**

სომხები საქართველოში გაჩნდნენ მის შემდეგ, რაც სომხების სამეფო დაიმხო. საქართველოს მაშინ ერგო პამბაქის მხარე ზედ დასახლებული სომხებით.

შემდეგ, როდესაც პამბაქში და სამხრეთ საქართველოში თათრები შემოიჭრენ, აქედან სომხები გაიფანტენ მთელ საქართველოში. ქალაქებში სომხებმა ვაჭრობას მიჰყვეს ხელი და სოფლებში კი მიწის მუშაობას.

სომხეთში—ყარაბახის მთებში, აქაიქ კიდევ იყვნენ დარჩენილი პატარ-პატარა სომხების თავადების სამთავროები. ესენი მთებში იფარავდენ თავს თათრებისაგან, მაგრამ, როდესაც მთელი ყარაბახი თათრებმა დაიჭირეს (XVIII საუკუნის ბოლოს) სომხის მელიქები საქართველოს მოაწყდნენ. ერთი მათგანი—მელიქი აბოვი მუხლს მოდრეკილი ეხვეწებოდა მეფე ირაკლის რათა მიეღო იგი და მფარველობა გაეწია მისთვის. გულკეთილმა მეფემ აბოვი მიიღო და საცხოვრებლად ბოლნისის თავისუფალი მიწები მიუჩინა. აბოვმა 700 ოჯახზე მეტი სომეხი გადმოიყვანა ყარაბახიდან და აქ დაასახლა. ბოლოს კიდევ სხვა სომხის მელიქებმა ჯიმშიდმა და ფრიდონმა ხვეწნით მიმართეს მეფე გიორგი XII და სთხოვეს მათთვინაც მიეცა ნება ყარაბახიდან საქართველოში გადმოსახლებისა. მეფემ მათი ვედრება ისმინა და ნება დართო. პირველს მათგანს აჯიკალებს მამულები ებოძა და მეორეს უზუნლარისა. თვითოეულმა მათგანმა ას-ასი ოჯახი გადმოასახლა.

რაიცა შეეხება კანონმდებლობას საქართველოში, ამ მხრით ჩვენს სამშობლოს ერთი საპატიო ადგილი ეჭირა კულტურულ სახელმწიფოებში.

სამეფო ხელმძღვანელობდა მეფე ვახტანგ VI კანონებით.

ფორმები საქმის გარჩევის დროს სასამართლოებში არ იყო მაინცა და მაინც რთული. მოსამართლეები მომჩივანსა და მოპასუხეს დაუფიცებლად გამოჰკითხავდენ ხოლმე საქმის ვითარებას. ფიცამდის საქმე ძალიან ძვირად მიდიოდა, და თუ კი აუცილებელი შეიქნებოდა მაშინ მფიცველი ორმოცი დღის განმავლობაში მარხვითა და ლოცვით უნდა მომზადებულიყო ეკლესიაში. ფიცს ღებულობდა მოპასუხე სხვა პირებთან ერთად, რომლებსაც მოჩივარი დაასახელებდა. თანამფიცავთა ვალი იყო თავისი ფიცით დაედასტურებიათ ის, რომ მოპასუხე ფიცის დროს ამბობდა სრულ ჭეშმარიტებას*).

სისხლის სამართალში აძლევდნენ დიდ დამნაშავეებს. სამშობლოს მოღალატეს და ხაზინის გამცარცველს სჯიდენ მეფის ბრძანებისამებრ. ვინც ბრძოლის დროს მეფის ჯარს უღალატებდა და მტერთან გაქცევას დააპირებდა მას ფეხსა სჭრიდნენ.

ცნობილ ყაჩაღების მოკვლის ნება ყველასა ჰქონდა, ეკლესიების გამტეხელსა და გამცარცველს ქათალიკოსი გები სჯიდენ, სხვა უფრო მცირე დამნაშავეთათვის დანიშნული იყო ჯარიმა ფულით.

*) აქტები ტ. IV, № 11—13.

შემთხვევითი მკვლელობისათვის არ ისჯებოდენ. შვილის მკვლელობა, მამის მკვლელობა, ძმის მკვლელობა მეტად სასტიკ ცოდვათ ითვლებოდა, მაგრამ სისხლის სამართლით არა სჯიდენ მათ. თუ მემამულე მოჰკლავდა თავის გლეხს, პასუხს არ აგებდა, მხოლოდ მოკლულის ოჯახი თავისუფლდებოდა სამუდამოდ. თუ ყმა თავის ბატონს გალანძღავდა, ყმას ჯარიმას ახდევინებდნენ, თუ ჯარიმას ვერ გადიხდიდა, მაშინ იმისათვის ენა უნდა მოეჭრათ.

ეხლა გადავავლოთ თვალი თუ როგორი იყო დროებითი მართველობა საქართველოში.

1800 წელს 28 დეკემბერს ღამის 11 საათზედ გარდაიცვალა უკანასკნელი მეფე საქართველოსი გიორგი XII.

ამ დროს თბილისში იმყოფებოდა რუსის ჯარის უფროსი—გენერალი ლაზარევი, რომელიც დიდ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს შინაურ საქმეებში.

რადგანაც გიორგი მეფე მძიმე ავადმყოფი იყო და მის სიკვდილს დღითი დღე ელოდნენ, ამისათვის მას ცალკე—ფარული ბრძანება ჰქონდა მიღებული, რომ არავისათვის ნება არ მიეცა საქართველოს ტახტზედ ასულიყო მინემ პეტროგრადიდან არ მოუვიდოდა ბრძანება. ლაზარევმა კარგად იცოდა, რომ პეტროგრადში წყდებოდა საქართველოს ბედი,—ან ცალკე გუბერნიად უნდა გამოეცხადებინათ, ან და რუსეთის ვასალურ სამეფოდ.

საქართველოს ტახტის მემკვიდრეები ბატონიშვილი დავითი გიორგის ძე და ბატონიშვილი იულონი უფროსი ძმა მეფე გიორგი XII-ისა ერთმანეთს ებრძოდნენ და თავს ატეხდნენ ტახტის გულისათვის და ის კი არ იცოდენ თუ რას უმზადებდნენ პეტროგრადში მათ სამეფოს.

ბატონიშვილების განხეთქილებამა და ჩხუბმა ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ შიგ ჩაერივნენ არა თუ მარტო ბატონიშვილები, არამედ თავად-აზნაურები, სომხის მელიქები, მეზობელი სახანოები, ახალციხის ფაშა და იმერეთის სამეფოც. ლაზარევმა სამეფოს დროებითი მართველად ისევ ბატონიშვილი იოანე გიორგის ძე დასტოვა, ისე როგორც ის მამის სიცოცხლეში მართავდა სამეფოს, თითონ კი მას ამოეფარა უკანა და ისე აწარმოებდა ყოველივე საქმეს, როგორც კი სურდა. 5 თებერვალს მიიღეს პეტროგრადიდან მანიფესტი და 16—საქვეყნოთ გამოაცხადეს სიონისა და ვანქის სობოროში. მანიფესტის ძალით საქართველო სამუდამოდ უერთდებოდა რუსეთს. იმ დროსვე დაბრუნდნენ პეტროგრადიდან მეფის ელჩები ავალიშვილი და ფალავანდიშვილი და მათ სიტყვიერი ინსტრუქცია, რომელიც მიღებულთ ჰქონდათ პეტროგრადში, გამოაცხადეს საქვეყნოდ.

ამ ინსტრუქციის ძალით ბატონიშვილი დავითი, როგორც კანონიერი მემკვიდრე ინიშნებოდა საქართველოს მართველად და მასთან კიდევ ერთად გენერალი ლაზარევი. ამ ამბავმა ისე გაახარა ბატონიშვილი დავითი, რომ სრულიად დაავიწყა სამეფო ტახტი და საქართველოს მართველის თანამდებობაც დიდის სიამოვნებით მიიღო.

დავითი ბოლოსა და ბოლოს ცდილობდა როგორმე ჩამოეშორებინა ლაზარევი თავიდან და თითონ გამხდარიყო სრული ბატონ-პატრონი საქართველოში, მაგრამ გვიანღა იყო, თუმცა კი ცოტათი მან მაინც მიაღწია ამ სურვილს.

დავით ბატონიშვილი დაეპატრონა მთელად სამეფოს შემოსავალს, ბევრი თანამდებობა და მამულები ჩამოართვა იულონ ბატონიშვილის მომხრე თავადებს და თავის მომხრეებს დაურიგა.

გენერალ ლაზარევს არ მოსწონდა დავითის ასეთი მოქმედება, მაგრამ ვინაიდგან საქართველოში არ ჰყავდა საკმაო ჯარი ამისათვის გაჩუმებული იყო დროებით.

მაისის დამდეგს საქართველოში მოვიდა კარგა დიდძალი რუსის ჯარისა, ჯარს მოჰყვა გენერალი კნორინგი, რომელიც დიდის უფლებებით იყო აღჭურვილი.

კნორინგმა საქართველოში დროებითი სამართველო *) გამოაცხადა და დავით ბატონიშვილი თითქმის სრულებით ჩამოაშორა ყველა საქმეებს.

დროებითი სამმართველო გახსნილი იქმნა გენერალ ლაზარევის თავმჯდომარეობით, მდივან ბეგებად ისევ ისინი დაინიშნენ, რომლებიც მეფე ირაკლის დროს იყვნენ: თავ. ზაალ ბარათაშვილი, თავ. ივანე ჩოლოყაშვილი, ეგნატე და სულხან თუმანიშვილები, მათთან კიდევ დანიშნული იყო თბილისის მამასახლისი დარჩო ბეჟუთოვი, რომელიც თბილისის საქალაქო საქმეებს განაგებდა. დროებითი სამართველოს ნაძძნები ჰქონდა, რომ გაერჩიათ ყოველივე საქმე სამეფოსი, აგრეთვე მიეღოთ, შეენახათ და საჭიროებისამებრ დაეხარჯათ სამეფოს შემოსავალი.

აგრეთვე კნორინგმა დროებითი სამართველოს უბრძანა, რომ დაებრუნებიათ ჩინი, შემოსავალი თუ მამულები ყველა იმ პირებისათვის, რომელთაც ჩამოერთვათ მეფე გიორგის სიკვდილის შემდეგ. თუ ერთი და იგივე მამული მეფისაგან ნაბოძები ჰქონდათ სხვა და სხვა პირს სხვა და სხვა დროს, სამართველოს კანონიერად უნდა ეცნო უკანასკნელის მფლობელობა და სხვა.

ყველაფერი ეს დროებითი იყო, პეტროგრადში გახურებული მუშაობა იყო, საქართველოსათვის ცალკე კანონებს აცხობდენ. დიდ ხანს არ გაუვლია, ოდესმე სახელ განთქმული და ძლიერი საქართველოს სამეფო რუსის უსირცხვო მოხელეებმა უბრალო გუბერნიათ გამოაცხადეს.

ასეთი იყო მოკლედ საქართველოს შინაურული მდგომარეობა, მაშინ, როდესაც ის თავის ბედს სხვას აბარებდა.

**ავ. აბესაძე.**

*) დროებითი სამართველო თბილისში გაიხსნა 1801 წელს 6 ივლისს და მხოლოდ ერთ წელიწადს იცოცხლა.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარ ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** 20 აპრილი, დასავლეთი ფრონტი. ჩვეულებრივი სროლა იყო.

**რუმინეთის ფრონტი.**

ღამით, 18 აპრილს ქვევითა ნაწილებმა მოწინააღმდეგისა, რომელთაც არტილერია ხელს უწყობდა, იერიში მოიტანეს მაღლობზე 15 ვერსტით სამხრეთ-დასავლეთით ოკნიდან, რომელიც დაჭერილი იყო ჩვენის ჯარით. იერიში მოგერიებულ და მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქმნა თავის თხრილებში. დანარჩენ ფრონტზე სროლა სწარმოებს.

**კავკასიის ფრონტი.**

ადვილად მოვიგერიეთ მოწინააღმდეგის ცდა იერიშის მოტანისა რაიონში სამხრეთ-დასავლეთით გიუმიუშხანესი. ხანიკინის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა დაიპყრეს კუნძულები მდ. დიალუზე ჯუმურთან, ხანიკინის ჩრდილოეთით.

შავი ზღვა. ჩვენი გიდრო-ჰაეროპლანების რაზმმა ჩამოაგდო მახმუდიეში მდ. დუნაიზე 120 ყუმბარა. შენიშნულია დიდი ზარალი. მიუხედავად მოწინააღმდეგეს შრაპნელით მძლავრი სროლისა, ყველა აპარატი და მფრინავები დაუზიანებლად დარჩნენ.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენმა გამანადგურებლებმა ჩამოაგდეს გერმანული თვითმფრინავი, რომელიც დაეცა გოროდენკის რაიონში, გალიჩის აღმოსავლეთით აპარატი დაიწვა, მფრინავი დავატყვევეთ.

**მესოპოტამიის ფრონტი.**

**ლონდონი.** ოფიციალი ცნობა. გენერალი მოდი იუწყება: 18 აპრილს ჩვენ იერიში მივიტანეთ ოსმალთა კორპუსზე კიფრის სამხრეთ-დასავლეთით. ოსმალთა ჯარი საბოლოოდ დამარცხდა და უკან დაიხია. დავატყვევეთ 354 კაცი, მათში 20 აფიცერი, ერთი ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველი და აუარებელი პატრონა.

**ტრანსპორტის დაღუპვა.**

**ლონდონი.** 19 აპრილი. საამირბარო იუწყება: ტრანსპორტი ავსტრალიელთა ჯარით დაღუპულია გერმანელთა წყალქვეშა ნავის მიერ. დისციპლინის წყალობით ჯარისკაცნი ნავებში ჩასხდნენ და პორტში მოვიდნენ. მსხვერპლი არა ყოფილა.

**ბრიტანიის შტაბის ცნობა**

**ლონდონი.** 19 აპრილი. ოფიციალი ცნობა ბრიტანიის მთავარი ბანაკისა საფრანგეთში. არლეს-დუეს ჩრდილოეთით ჩვენ უკუ ვაგდეთ გერმანელთა ერთი რაზმი. ჩამოვაგდეთ 10 აეროპლანი, 6 დავაზიანეთ. ჩვენ 4 აეროპლანი გვაკლია.

**ჰაეროპლანების თავდასხმა**

**სევასტოპოლი.** 19 აპრილი. გერმანელთა აეროპლანების ერთი რაზმი სულინში გამოჩნდა; ჩვენმა ორმა მფრინავმა ტყვიის მფრქვეველი დაუშინა; დაზიანებული მტერი მსწრაფლ მიიმალა: ჩვენი გმირები მშვიდობიანად დაბრუნდნენ.

**ახლობელ აღმოსავლეთის ფრონტი**

**პარიზი.** 20 აპრილი. ახლობელ აღმოსავლეთში მოქმედების ცნობანი. გუშთან დაიწყო გახურებული საარტილერიო მოქმედება, მდინარე წრნის ხვეულიდგან, სადაც 18 აპრილს ღამე რუსის ჯარმა უკუ აგდო მტრის მზვერავები. მონასტირს ტყვიას უშენენ.

**თავდასხმა ნიდერლანდზედ.**

**გააგა.** 17 აპრილი. (დაგვიანებული) ორშაბათს ღამე უცხო მფრინავმა, რომლის ეროვნება გამოურკვეველია, ჩამოაგდო ყუმბარები ნიდერლანდიის ქალაქ ბირიკზნეში: მოკლულია 3 კაცი. ზარალი შეუმჩნევია.

**გამგზავრება ამერიკაში.**

**პეტროგრადი.** 19 აპრილი. გენერალი პოტოპოვი, რომელიც თავში უდგა სპეციალ მისიას, იგზავნება ამერიკაში მოკავშირე არმიის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად მომქმედ არმიის ზურგის ორგანიზაციის შესახებ და ზოგიერთ ეკონომიური ხასიათის კითხვების გამოსარკვევათ.

**ვილსონი და ამერიკელები.**

**ნიუ-იორკი.** ვილსონმა ინახულა გომპერსი, თავმჯდომარე ამერიკის შრომის ფედერაციისა, რომელიც აერთებს 2 მილიონზე მეტ მუშას. ვილსონმა გამოსთქვა აზრი, რომ ამერიკის მუშები ფრანგ მუშების მაგალითით ხელს შეუწყობენ პრუსიის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში. გომპერსმა უპასუხა, რომ დღევანდელ მომენტში, როდესაც საკითხი დაისვა— ვინ გაიმარჯვებს, დემოკრატია თუ თვითმპყრობელობა, ამერიკის მუშებმა ერთსულოვნათ დაადგინეს დაიცვან ჩვენი მხარე, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ახალგაზრდა რუსული დემოკრატია, რომ უზრუნველჰყონ თავისუფლება მთელი კაცობრიობისა და შეჰქმნან მტკიცე ზავი.

**გერმანელთა გემები.**

**ნიუ-იორკი.** ყველა გერმანელთა გემებს, რომელნიც შეპყრობილნი არიან ამერიკის პორტებში, გამოიყენებენ მოკავშირეთა სურსათის გადასატანათ. ეს შეერთებულ შტატების მთავრობამ დღეს ოფიციალურად აუწყა ბრიტანეთის მისსიას.

**ექსპედიცია დუნაიზე.**

**ოდესა.** 18 აპრილი. ამ დღეებში მუშაობას შეუდგა განსაკუთრებული კომისია, დანიშნულია გამოსაკვლევად იმ ექსპედიციისა, რომელსაც აწარმოებდა გადატან-გადმოტანას დუნაიზე და ხარჯავდა დიდძალ ფულს. ექსპედიციას თავში უდგა კონტრ-ადმირალი ვესელკინი, სასახლესთან დაახლოებული, რევოლიუციამდე დანიშნული სევასტოპოლის კომენდანტად და შემდეგ გადაყენებული. ვესელკინის მოქმედება, როგორც დუნაის რაიონის მთავარ-სარდლისა, მრავალ ინციდენტებით და თვითნებობით იყო გაჟღენთილი.

**შეიარაღებული კომერციული გემები.**

**ჰააგა,** 18 აპრილი. გამოქვეყნებულია საფრანგეთის დესპანის ნოტა ჰააგაში, რომელიც აღიარებს, რომ გერმანეთის წყალქვეშა ომი სცვლის საკითხს შეიარაღებულ კომერციულ გემების შესახებ. ამავე დროს ნიდერლანდიის მთავრობა ემხრობა იმ თვალსაზრისს, რომ გეოგრაფიული მდგომარეობა ჰოლანდიისა მოითხოვს, რომ შესვლა შეიარაღებულ კომერციულ გემებისა ჰოლანდიის პორტებში აკრძალული იყოს. ნიდერლანდის მთავრობა აქვე აცხადებს, რომ, თუმცა შეთანხმებულ სახელმწიფოებისადმი არავითარი მტრობა არა აქვს, მაინც არ შეუძლიან ნეიტრალიტეტი დაარღვიოს, ვინაიდან ეს იქნებოდა მიმკერძოებლობითი ხასიათის მოქმედება.

**ჩინეთის ელჩის გასვლა**

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ჩინეთის ელჩი ბერლინიდან მთელი შემადგენლობით 19 აპრილს გაემგზავრა კოპენჰაგენში. გერმანეთში დარჩენ 40 ჩინელი სტუდენტი

**ბელგეთის ოფიციალი ცნობა.**

**ჰავრი.** 19 აპრილი. ბელგეთიის ფრონტზე არტილერიის მოქმედებამ დიკსმიუდის რაიონში განსაკუთრებული ინტენსიური ხასიათი მიიღო.

**იტალიის მთავარბანაკის ოფიციალი ცნობა.**

**რიმა.** 19 აპრილი. აზიგოს და კარსოს ზეგანზე არტილერიამ გუშინ გამოიჩინა განსაკუთრებითი ენერგიული მოქმედება. მოწინააღმდეგე ეცადა ჩვენს თხრილებში, რომელნიც მდებარეობენ მთის სპერონეს ფერდობზე და აგრეთვე ახლო ზაგორთან შუა იზონცოზე შეჭრას, მაგრამ ადვილად მოგერიებულ იქმნა.

ორივე მხრის მფრინავებმა გამოიჩინეს საკმაო ინტენსიური საქმიანობა. გუშინ საღამოთი ორმა ჩვენმა ჰაეროპლანმა ჩამოჰყარეს ყუმბარები სადგურ რაჰჩინაზე და მშვიდობიანად დაბრუნდნენ თავის ბაზაში.

## უკანასკნელი ცნობები

**დროებითი მთავრობა ხოლიდაროზას უცხადებს გარეშე საქმეთა მინისტრის ნოტას და ყოველივე დალატი მოკავშირეებისა დამღუპველი იქნებოდა რუსეთისთვის თუ მუშათა და ხალდათთა დეპუტატთა საბჭოები უნდობლობას გამოუცხადებენ დროებით მთავრობას, იგი სთელის შემადგენლობით გადადგებაო.**

**დილით სახწრაფო მატარებელით პეტროგრადში ჩამოვიდა უმაღლესი მთავარ-სარდალი ალექსეევი. სადგურზე პეტროგრადის ჯარების სარდალი შეხვდა. გენ. ალექსეევი გუჩკოვთან გაემგზავრა.**

—

**„ნოვოე ვრემია“ აღნიშნავს, რომ ბალტიის ფლოტში ყველაფერი რიგზე არ არის, ეს იცის მტერმა და სასაცილოა ამაზე თვალები დავხუჭოთო. მომავალ უბედურობის წუთს ხალხი აღჭურვილი უნდა იყვეს, რადგანაც სირცხვილი ანდრიას დროშისა სირცხვილია მთელი რუსეთისა.**

—

**საფრანგეთის ელჩი პალეოლოგი დროებით მიდის, საელჩოს საქმეებს წარუძღვება სოციალისტი ალბერტ ტომა. რომელიც ამ ჟამად პეტროგრადშია.**

## კუდა ხარს

გაურბიხარ ლამაზ ნესტანს,
ეტრფი სხვის მედუზებს!.
კუდა ხარო გკბენენ—შენ კი
სხვას უგერებ ბუზებს!..
დახე საპყარს და კუზიანს:
სხვებს უსწორებს კუზებს!...
კუდა ხარო, თვისთვის არ ხარ,
ვის უგერებ ბუზებს?!..
ქალაქ დაბას სხვას ურიგებ,
ძმებს კი—იალბუზებს!..
რა ხალისით, რა კუნტრუშით
სხვას უგერებ ბუზებს!
შენი მშობლის კერა იწვის,
ალი შიგ გუზგუზებს...
მეზობლის სახლს ასხამ წყალსა:
სხვას უგერებ ბუზებს!..
ერის გემი ტალღას მიაქვს...
შენ კი საქე-ლუზებს
უთმობ უცხოს, კუდა ხარო,
სხვას უგერებ ბუზებს!..
გეროსტრატეს გვერდით მალე
ბედი აგატუზებს!..
და დაგახვევს დარეკილსა
შენგან... სხვათა ბუზებს!..

ქ. მაყაშვილი.

## ახალი ამბავი

◆ **ისტორიკოსის თ. ჟორდანიას** გარდაცვალების ნახევარ წლის თავი შესრულდა დღეს, 22 აპრილს. წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ხვალ, კვირას, 23 აპრილს, დიდუბის ტაძარში.

◆ **კრება მერვე ნაწილში.** კვირას საღამოს სამის ნახევარზე დანიშნულია კრება მერვე ნაწილის ორივე სქესის მცხოვრებთა დგმურთა და სახლის პატრონთა; (პესკის ქუჩა პირველ საკომერციო სასწავლებლის დარბაზში), საუბნო ბიუროს და კომიტეტის ასარჩევად.

◆ **საჭიროა მასწავლებელი ქალი.** არჯევანიძის სკოლაში „სკოლა ტყეში“ საჭიროა ქართველი ქალი ბავშვების ვარჯიშობისა და სიმღერის მასწავლებელი, პიანინოს დამკვრელი თვეში ექნება ჯამაგირად ხუთი თუმანი და ბინა სრულის ხარჯით.

◆ **აღმასრულებელი კომიტეტი** ამ ცოტა ხანში შეუდგება სოფლებში არჩევნების მოწყობას თანახმად ქუთაისის კომიტეტისაგან გამოგზავნილი ინსტრუქციისა.

◆ **ქართველ სტუდენტთა კრება.** კონფერენციის საორგანიზაციო ბიურო სთხოვს თბილისში მყოფ ამხანაგთ დაესწრნენ კრებას 23 აპრილს 3 საათზე ქართულ ბანკში (სამების ქუჩაზე) საორგანიზაციო საკითხის გამოსაკვლევათ.

◆ **წვრილი კრედიტის ყრილობა.** დღეს 22 აპრილს ნაშუადღევის 5 საათზე დაიწყება ყრილობა თბილისის მაზრის წვრილ კრედიტის დაწესებულებათა წარმომადგენლებისა.

◆ **საუბნო სასურსათო კომიტეტი** კვირას, 23 აპრილს დილის 10 საათზე ქართულ გიმნაზიის შენობაში მოხდება კრება პირველი უბნის მცხოვრებლებისა. კრებას შეუძლია დაესწროს და არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ყველამ განურჩევლად სქესისა თუ მიმართულებისა. კრების მიზანია მოაწყოს საუბნო სასურსათო და სხვა ადგილობრივ საჭიროებათა გამგე კომიტეტი. საჭიროა უთუოდ კრებას დაესწრონ საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წევრები და არჩევნებშიც მონაწილეობა მიიღონ.

◆ **პოლკოვნიკი ზდანოვსკი** თბილისის პოლიცმეისტრად ნამყოფი, თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით სატუსაღოდან გაანთავისუფლეს და 4 დღის განმავლობაში კავკასიიდან უნდა გაიგზავნოს. ამასთანავე გადაწყვეტილია, რომ სამხედრო სამსახური არ მიეცეს მას კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე.

◆ **გლეხთა კავშირის ყრილობა.** გლეხთა კავშირის თბილისის საორგანიზაციო ბიუროს დეპეშითატყობინებენ პეტროგრადიდან, რომ 1 მაისს პეტროგრადში დანიშნულია მთელი რუსეთის გლეხთა კავშირის დელეგატთა ყრილობაო. განსახილველია ყველა თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიური საკითხები. მონაწილეობის მიმღებთა მსურველებმა უნდა მიმართონ შემდეგი მისამართით: პეტროგრადი, თავრიდის სასახლე, გლეხთა დეპუტატების კომიტეტი.

◆ **ამიერ კავკასიის სასურსათო** საქმის მოსაწესრიგებლად 26 აპრილს თბილისში დანიშნულია ყრილობა რომელსაც დაესწრებიან წარმომადგენლები ამიერ კავკასიის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტების, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტების, მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოებიდან, კოოპერატივებიდან და სხვ. გაარჩევენ საკითხს ამიერ კავკასიის გაერთიანებაზე სასურსათო საქმეები სურსათის განაწილებასა და ტრანსპორტის მოწესრიგების შესახებ.

◆ **სარწყავი წყალი.** წყლის საქმის მოსაწესრიგებლად გამართულ კრების დადგენილების თანახმად, ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა პროვინციების ადგილობრივ კომიტეტებს დაავალა თითონვე მოაწესრიგონ სარწყავი წყლის განაწილება. საგუბერნიო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებში წევრებად უნდა შედიოდნენ ინჟენერ-გიდრავლიკები სარწყავ წყლის საქმეების გასაძღოლად, მაგრამ პროექტები ინჟენერებისა წინასწარ განხილულ უნდა იქმნას ადგილობრივ კომიტეტის მიერ. საჩივარი ადგილობრივ კომიტეტებზე წყლის შესახებ საგუბერნიო კომიტეტებმა უნდა განიხილონ.

◆ **შუამდგომლობა ღვინის შესახებ.** თბილისში მყოფ საფრანგეთის მოახალშენეებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, რომ ნება დართოს მათ ღვინის ვაჭრობისა. კომიტეტმა შუამდგომლობა უყურადღებოდ დასტოვა დროებით, სანამ საყოველთაოდ არ გადასწყდება საკითხი ღვინის ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

◆ 8 **საათის ვაჭრობა.** თამამშევის ქარვასლის ვაჭრებმა დაადგინეს, დღეში მხოლოდ 8 საათის განმავლობაში ივაჭრონ, სახელდობრ დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე განუწყვეტლივ.

◆ **კადეტთა პარტიაში.** მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა კადეთა პარტიის მოსკოვის კომიტეტის წევრი ა. ქვილეგოვი. იგი ლექციას წაიკითხავს.

◆ **თეთრი ფქვილის განაწილება.** თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქალაქის სასურსათო კომიტეტი სამართლიანად ვერ ანაწილებს თეთრ ფქვილს და წინადადება მისცა მას მოაწესრიგოს ეს საქმე. ამასთანავე აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა იმავე სასურსათო კომიტეტს, რომ დააჩქაროს საუბნო სასურსათო კომიტეტების არჩევა.

◆ **პურის საკითხი.** გადაწყვეტილია, ამ დღეებში შესდგეს საგანგებო თათბირი პურის საკითხის გამო. თათბირში, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებენ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრი, სასურსათო საქმეების მთავარი რწმუნებული ბიჩი, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წევრნი და სხ.

◆ **თბილისის მილიციის უფროსი** შეეკითხა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს, მიიღონ თუ არა სამსახურში ყოფილი ქურდები მათი თხოვნის მიხედვით „სისჩიკებათ“. აღმასრულებელმა კომიტეტმა უარი განუცხადა.

◆ **ამიერ კავკასიის მართვა-გამგეობა.** დროებითი მთავრობის კომისარიატი ამთავრებს კანონ-პროექტს შესახებ მართვა - გამგეობისა ამიერ კავკასიაში. ეს კანონ-პროექტი ჩქარა გამოქვეყნდება.

◆ **მოწაფეების დათხოვნა.** თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობამ დეპეშით განკარგულება მოახდინა, რომ ეხლავე დათხოვნილ იქმნან მოსწავლენი საზაფხულო არდადეგისათვის. მასწავლებლები ზაფხულის განმავლობაში მოაწყობენ მოძრავ სკოლებს, საღამოს კურსებს და სხ.

◆ **„დაშნაკცუტუნი“ და საერობო თათბირი.** „დაშნაკცუტუნის“ პარტიის სარაიონო კრებამ გადასწყვიტა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღოს მონაწილეობა საერობო არჩევნებში, თუ წინასწარ მოხდება ამიერ კავკასიის საადმინისტრაციო საზღვრების ძირითადი გადამიჯვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს.

◆ **ამიერ-კავკასიის კომიტეტთან** არსდება საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს იმ პიროვნებათა მოღვაწეობა, რომელთა ყოფაქცევა ფრიად მავნედ იქნება ცნობილი ახალი რეჟიმისათვის. იმავე კომიტეტში მზადდება დებულებანი შესახებ: 1) მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნებისა ამიერ-კავკასიაში; 2) სოფლის სასამართლოების გაუქმებისა და ახალი წესის დამყარებისა ადგილობრივ პირობების მიხედვით; 3) ბათომისა, ზაქათალისა, ყარსისა და დაღესტნის ოლქებში სიტყვიერ სახალხო სასამართლოების გაუქმებისა და ახალ სასამართლოების დაწესებისა, ადგილობრივ პირობების მიხედვით. უკანასკნელი საკითხის შესახებ მოხსენების შედგენა მინდობილი აქვს საგანგებო კომისიას, რომელშიაც შედიან გ. რცხილაძე, გრუზენბერგი და ბარხუდაროვი.

◆ **ქალთა უმაღლეს კურსების თბილისის უნივერსიტეტათ გადაკეთება.** თბილისის ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორთა საბჭომ კურსების მსმენელ ქალთა წარმომადგენლებთან ერთად განიხილა მოხსენებანი კურსების რეორგანიზაციის შესახებ და დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა, რათა ხსენებული კურსები უნივერსიტეტათ იქმნეს გადაკეთებული.

◆ **იოანე ნათლისმცემლის მონასტერში.** ამას წინად ცნობა იყო მოთავსებული, რომ იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ხაშმის სარაიონო აღმ. კომიტეტმა ბევრი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინაო. მონასტრის ახალი არქიმანდრიტის ნაზარის ცნობით სიყალბის ჩამდენი და მონასტრის ქონების მიმთვისებელი ყოფილა ყოფილი ხაზინადარი მღვდელ-მონაზონი გერმოგენი, რომელიც სამართალშია მიცემული ახალი მთავრობისაგან.

◆ **ნაპოლიციელთა შუამდგომლობა** შესახებ იმისა, რომ იმათ ნება მიეცესთ თბილისში დარჩენისა, ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა დააკმაყოფილა, მაგრამ იმ პირობით, თუ თითოეულ მათგანს ითავდებებს რომელიმე პოლიტიკური პარტია.

## ნიკო ნიკოლაძის ლექცია

13 აპრილს გაზეთ „რუსკაია ვოლიას“ დეპეშათა დიდ დარბაზში მხცოვანმა საზოგადო მოღვაწემ და „რუსკაია ვოლიას“ თანა რედაქტორმა ნიკო ნიკოლაძემ ლექცია წაიკითხა შემდეგ თემაზედ: „თავისუფალი საქართველო“.

## ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

**ნაძალადევის უბანი.** საქართველოს ეროვნ.-დემოკრატ. პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს ნაძალადევში მცხოვრებ ამ პარტიის წევრთა და თანამგრძნობთ, მობრძანდნენ კვირას, აპრილის 23, საღამოს 7 საათზე, ნაძალადევის ეკლესიის სასწავლებელში პარტიის საუბნო კომიტეტისა და სხვა საორგანიზაციო საქმეების მოსაწყობად.

**ზესტაფონი.** კვირას 16 აპრილს, ზესტაფონში შესდგა ეროვნულ-დემოკრატთა კრება. კრებაზე თბილისიდან მოწვეულნი იყო ბ-ნი ი. მაჭავარიანი და ქუთაისიდან ბ-ნი ვ. წერეთელი, რომელთაც განმარტეს ამ პარტიის პროგრამა. ჩვენი იდეა ხალხში ვრცელდება, ამ მოკლე ხანში აქ დაარსდება ეროვნულ-დემოკრატთა კლუბი.

**სტუდენტთა კონფერენცია.** სამშაბათს, 25 აპრილს ქ. ქუთაისში დანიშნულია სრულიად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობის (სტუდენტებისა და საშ. სასწ. მოწაფეების კონფერენცია. კონფერენციაში დაესწრება ორ-ორი დელეგატი არა ადგილების მიხედვით, არამედ იმ სასწავლებლის მიხედვით, სადაც პარტიული ორგანიზაცია არსებობს, განურჩევლად სქესისა. დელეგატებს თან უნდა ჰქონდეს პარტიული მანდატი. ბინის შესახებ უნდა მოიკითხონ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში.

## რა სურს საქართველოს ეროვნულ დემოკრატიას?

რევოლიუციამ ძველი რუსეთის პოლიტიკური შენობის ლპობილი საფუძველნი ერთი დაკვრით დაანგრია და მის ნანგრევებზე ახალი პოლიტიკური ცხოვრება მოაწყო, რომელსაც საფუძვლად უდევს სახალხო, დემოკრატიული კანონმდებლობა და მართვა-გამგეობა, პიროვნების თავისუფლება, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და ერთა თანასწორობა, ე. ი. ის, რასაც აღიარებს საქართველოს ეროვნული დემოკრატია.

ჩვენ აღვიარებთ საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას დემოკრატიულ-რესპუბლიკურ საფუძვლებზე და იმ უფლებრივ ფარგლებში, რომელნიც ერეკლე მეორესა და ეკატერინე მეორეს შორის 1783 წ. დადებული ხელშეკრულობით განსაზღვრული არიან.

ჩვენ მოვითხოვთ ქართულ პარლამენტს, ქართულს სამმართველო ორგანოებს, ქართულს ადგილობრივ თვით-მართველობას, ქართულ სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებს, ქართულ ეკლესიასა და სხ. რუსეთის საკანონმდებლოსა და სამმართველო ორგანოებს უფლება არ უნდა ჰქონდესთ გაერიონ ჩვენს შინაურს პოლიტიკურ საქმეებში.

სრული სამოქალაქო თავისუფლება თვინიერ ავტონომიისა—შეუძლებელია. თუ ცენტრი, ე. ი. შორეული პარლამენტი და მთავრობა, ყველა სავალდებულო კანონს პეტროგრადიდან მოგვწერს, ცხადია, საკუთარს საკანონმდებლო შემოქმედებასა და, მაშასადამე, ეროვნულ-პოლიტიკურ თავისუფლებას, მოკლებული ვიქნებით.

მეორე მხრით, პოლიტიკური ავტონომია ერში შემოქმედებითს ნიჭს და, მაშასადამე, აფერხებს პოლიტიკური ცხოვრებისა და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ნაყოფიერობას.

პოლიტიკურად მკვდარი ერი—სულიერადაც მკვდარია, არასწორუფლებიანი ერი—მონა ერია! და, თუ მონობა აღარ უნდა იყოს, უეჭველია, არც ეროვნული მონობა უნდა იქნეს.

მაგრამ რა უფლებით ვთხოულობთ საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას? ამ უფლებას გეოგრაფიულს, ეთნოგრაფიულს, ეკონომიურს, კულტურულსა და ისტორიულ საფუძვლებზე ვამყარებთ.

საქართველო წარმოადგენს გეოგრაფიულად ერთს მთლიანს, ბუნებრივი საზღვრებით შემოხაზულ ტერიტორიას, რომლის ნაწილების ჩამოჭრა და ერთმანეთისაგან ჩამოშორება დამღუპველი იქნება, როგორც მთელის ეროვნული ტერიტორიის, აგრეთვე თვითეული ნაწილისათვის.

ამ ტერიტორიაზე, დაახლოვებით, სამი მილიონი ქართველი ცხოვრობს და მაშინ, როდესაც სომხთა რიცხვი არ აღემატება 10 პროცენტს, რუსთა 4 პროცენტს, ოსთა 3 პროცენტს, სხვა ეროვნებათა რიცხვი კი შედარებით კიდევ უფრო მცირეა, ქართველთა რაოდენობა თითქმის 80 პროცენტს შეადგენს.

და, საქართველო რომ ეთნოგრაფიულად ქართველთა ქვეყანაა, ამას სტატისტიკაზე უკეთ კიდევ ის მოწმობს, რომ, ზოგიერთის ახლად შეერთებული მაზრის მცხოვრებთა გამოკლებით, უცხო, შემოხიზნული ერები, მაგალითად, სომხები, ებრაელები და სხ. ან მთლად გაქართველებულან ან სავსებით შეუთვისებიათ ქართული ხასიათი, ზნე-ჩვეულებანი და კულტურა.

საქართველოს გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულ მთლიანობას სავსებით შეესაბამება ეკონომიური მთლიანობაც. მისი ნაწილები ისეთი მჭიდრო, განუკვეთელის ეკონომიური კავშირით არიან ერთმანეთზე გადაბმული, რომ არცერთს მათგანს არ შეუძლია დამოუკიდებელი ეკონომიური ცხოვრება საქართველოს გარეშე.

დასასრულ, ქართველ ერს, შთამომავალს შუამდინარის პირველ ბინადართ ქალდ-სუმერთა, რომელთაც საკაცობრიო კულტურას საფუძველი ჩაუყარეს (4.000 წ. ქრ. შობამდე.) და მათ მონაცვლე ტომთა—ხეთელთა, ალაროდიელთა, მესხთა და სხ., ერს, რომელმაც უმაღლეს ხარისხამდის განავითარა ქრისტიანული კულტურა, განათლება და სახელმწიფოებრივობა და კეთილშობილი იდეალები ძმობა-ერთობის, თანასწორობისა და თავისუფლებისა და განასახიერა ეს იდეალები მწერლობასა, არქიტექტურასა, სკულპტურასა და გალობაში, ერს გენიალური პოეტის შოთა რუსთაველისა, ეფქვთიმესი და გიორგი მთაწმინდელებისა, ეფრემ მცირისა და ივანე პეტრიწისა, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა—აქვს სრული უფლება იმ ტერიტორიაზე, რომლის შესანიშნავი ხუროთმოძღვრების ნაწარმოებნი ბარბაროსთა მიერ ნანგრევებად ქცეულნი, ღაღადებენ წინაპართა შემოქმედების სიდიადეს და თვითეული მტკაველი მიწის მათი სისხლით-მორწყვას.

და დღეს, როდესაც პრინციპად აღსარებულია საერთაშორისო ხელშეკრულობათა პატივისცემა, ე. ი. ის აზრი, რომ საერთაშორისო დამოკიდებულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს არა უხეშ ძალას, არამედ სამართლიანობის სასწორს, ქართველი ერი მოვალეა თავისი თავისა და კაცობრიობის წინაშე მოსთხოვოს განახლებულ რუსეთს იმ პირობების შესრულება, რომელნიც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორესა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს შორის 1783 წ. შეკრულ ტრაქტატში აღნიშნულ არიან. ეს ტრაქტატი აღიარებს ჩვენს შინაურს პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და რუსეთის პროტექტორატს, ანუ მფარველობას, და განსაზღვრავს იმავე დროს საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის უფლებრივ ფარგალს და, მაშასადამე, საფუძვლად უნდა დაედვას საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიასა და ეკლესიის დამოუკიდებლობას.

იმავე დროს საქართველოს ავტონომიის კონსტიტუციას უნდა დაედვას საფუძვლად არა ძველი, ფეოდალური, არამედ ახალი, რესპუბლიკური საკანონმდებლო და სამმართველო პრინციპი.

როგორი იქნება საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა? მათ ექნებათ სრული კულტურულ-ეროვნული თვითმართველობა, ე. ი. უფლება ეროვნულ ორგანიზაციათა შედგენისა თავის ეროვნულ-კულტურულ საჭიროებათა კმაყოფილად, ეროვნული ენის ხმარებისა ადგილობ-

რივ თვითმართველობაში და უპირატესობა მართვა-გამგეობაში იქ, სადაც კი ისინი ეროვნულ უმრავლესობას წარმოადგენენ. ეს მათი ეროვნული უფლებანი კი რუსეთის კონსტიტუციის ძირითადი კანონებით უზრუნველყოფილი იქნებიან. მაშასადამე, ავტონომიურ საქართველოში ქართველობის მიერ ეროვნულ უმცირესობაბათა ჩაგვრა—შეუძლებელი იქნება.

ავტონომიის პრინციპიდანვე გამომდინარეობს ფართო ადგილობრივი თვითმართველობა. როგორც საქართველოს პოლიტიკური ავტონომია დამოუკიდებელი იქნება თავის შინაურ საკანონმდებლოსა და სამმართველო საქმეებში რუსეთის უზენაეს სამმართველო ორგანოებზე, აგრეთვე ადგილობრივი თვითმართველობა იქნება დამოუკიდებელი საქართველოს ავტონომიის ცენტრალურ მთავრობაზე, ე. ი. პარლამენტსა და უზენაეს სამმართველო ორგანოებზე, იმ საქმეებში, რომელთა მოწესრიგებასაც ეს თვითმართველობანი უკეთ შესძლებენ.

ჩვენის პოლიტიკური მოძღვრების საფუძვლად მიგვაჩნია პიროვნების თავისუფლება. პიროვნება ხელშეუხებელი უნდა იყოს, მისი დატუსაღება მხოლოდ მაშინ უნდა შეიძლებოდეს, როდესაც სასამართლო მის დანაშაულს დაამტკიცებს და ამის შესახებ შესაფერ მსჯავრს დასდებს.

ხელშეუხებელი უნდა იყოს აგრეთვე თვითეული მოქალაქის ბინა.

ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს სრული უფლება მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისა და თავისუფალი თაოსნობისა და შრომისა ყოველგვარ სამოქმედო სარბიელზე.

ალვიარებთ სიტყვის, პრესისა და კრების თავისუფლებას.

სასამართლო თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყოს სამმართველო ორგანოებზე და მისი წევრები საზოგადოების მიერ არჩეული უნდა იქმნენ.

როგორია ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა?

უპირველესად ჩვენ ალვიარებთ კერძო საკუთრებას და ვამბობთ: სახელმწიფო მოვალეა ალმოუჩინოს, როგორც მწარმოებელ ამხანაგობათ, აგრეთვე კერძო მწარმოებელთ მათი ნივთიერი კეთილდღეობისათვის საჭირო პირობები და ყოველგვარი დახმარება: ჩვენ გვწადია, რომ კერძო საკუთრება ყველასა ჰქონდეს.

სახელმწიფო მოვალეა აგრეთვე მოუპოოს სამუშაო ყველას, ვისაც იგი ვერ უშოვნია.

ჩვენ ალვიარებთ ამასთანავე სამრეწველოსა და საქარხნო კანონმდებლობას, რომელიც უზრუნველ ჰყოფს მუშათა ჯანმრთელობას, ხელფასსა და გონებრივსა და ზნეობრივ განვითარებას.

გვწამს აგრეთვე, რომ კერძო საკუთრება შეუჩერებელ განვითარებას, ან ევოლუციას, განიცდის და თან და თან უფრო და უფრო ამხანაგურს, კოოპერატიულ სახეს ღებულობს. თავისუფალი მწარმოებელი, თავისუფალი ამხანაგობანი და მათი თავისუფალი კავშირნი, აი ჩვენი ეკონომიური იდეალი.

მეორე მხრით ჩვენ გვწამს კერძო საკუთრება, როგორც პიროვნების თავისუფალი თაოსნობისა და შემოქმედების აუცილებელი პირობა, და, თუ სოციალიზმს უარვყოფთ, იმიტომ, რომ გაერთიანებული სახელმწიფოებრივი წარმოება და განაწილება მთელ ხალხს მხედრობად გარდაქმნიდა და ისეთს სასტიკ იერარქიასა და დისციპლინას შექმნიდა, რომელიც პიროვნების ინიციატივასა და შემოქმედებას სრულიად მოჰკლავდა და პიროვნებას—საზოგადოების მონად გახდიდა.

ჩვენ ალვიარებთ ყოველგვარ პოლიტიკურ ეკონომიურ და სარწმუნოებრივ კრებულთა და საზოგადოებათა და მათ შორის, მაშასადამე, მუშათა ვაფიცვის თავისუფლებას.

ალვიარებთ აგრეთვე სინიდისის რულ თავისუფლებას. თვითეულ მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს ის სარწმუნოება, რომელიც მის სინიდისს კმაჰყოფს.

როგორ სახელმწიფოებრივ ფორმას უჭერთ მხარს? ჩვენ, როგორც დემოკრატები, რესპუბლიკის უპირატესობას ალვიარებთ. მაგრამ, თუ რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ მონარქიული კონსტიტუცია აღიარა, ჩვენ მხარს დავუჭერთ ისეთს სახელმწიფოებრივ ფორმას, რომელიც მთელს საკანონმდებლოსა და სამმართველო ძალას პარლამენტსა დეპარტამენტის წინაშე პასუხისმგებელ სამინისტროს ანიჭებს.

დასასრულ, ალვიარებთ: საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირისა და ფარული ხმისმიცემით არჩევნებს, დედაკაცთა და მამაკაცთა სრულს პოლიტიკურსა და სამოქალაქო თანასწორობას, წოდებრივთა და ყოველგვარ სხვა უპირატესობათა გაუქმებასა და, საზოგადოდ, ყველაფერს, რაც ხელს უწყობს პიროვნებათა, ხალხთა და ერთა თავისუფლებას.

აი, მაშასადამე მოკლედ ჩვენი პოლიტიკური მოძღვრების დედააზრი: 1) საქართველოს ავტონომია 1783 წ. ტრაქტატისა და რესპუბლიკურ-დემოკრატული პრინციპების საფუძველზე. 2) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. 3) ფართო ადგილობრივი თვითმართველობა. 4) პიროვნების თავისუფლება. 5) დამოუკიდებელი და ხალხის მიერ არჩეული სასამართლო. 6) სიტყვის, პრესის, კრების, მიმოსვლის, საზოგადოებათა და გაფიცვათი თავისუფლება. 7) კერძო საკუთრება ყველასთვის. 8) საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირისა და ფარული ხმისმიცემით არჩევნები პარლამენტისა და ყველა სხვა დაწესებულების წარმომადგენელთა, 9) დედაკაცთა და მამაკაცთა უფლებრივი თანასწორობა. 10) მუშათა, ბავშთა, მოხუცთა და დედაკცთა მფარველობა სათანადო კანონმდებლობით. 11) პროგრესიული გადასახადი შემოსავლის კვალობაზე. 12) პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი სამინისტრო 13) რესპუბლიკური ფორმა მართვა გამგეობისა.

ვახილ წერეთელი.

## საქართველოს საკათალიკოსოს ქუთაისის განყოფილება.

რუსეთის დიდებულმა რევოლიუციამ საუკუნოებით დაჩაგრულ და დამონავებულ მოქალაქეებს თავისუფლების კარი გაუღო. განსაკუთრებით ეს თავისუფლება იგრძნო რუსეთის სახელმწიფოს წვრილმა ერებმა, რომელნიც უწინდელ დესპოტიურ მთავრობას გერებადა ჰყავდა. დამაშვრალი ქართველი ერიც უხვად დაეწაფა ამ თავისუფლებას და თვით გამორკვევის საქმეს შეუდგა. ქართველების რეალური თვითგამორკვევა დაიწყო ჩვენი მრავალ წამებული ეკლესიის დახსნით. 12 მარტიდან საქართველოს ეკლესია აღარ არის რუსეთის სინოდის მონა. ამ რიცხვიდან მან თავი დააღწია უკანონო ტყვეობას, სულისა და ხორცის შემხუთავი ხუნდები უკუაგდო და თავის ძალღონით შეუდგა თავისუფალ ცხოვრებას. დღეს მთელი საქართველოს სამღვდელოება გაერთიანებულია, მას ერთი აზრი ასულდგმულებს. ეს აზრი გახლავთ სამშობლო ეკლესიის კეთილდღეობა და მისი აყვავება. აი ამ აზრით განმსჭვალულმა იმერეთის სამღვდელოების წარმომადგენლებმა, რომლებიც ქუთათური ფილიალი დროებით მართველობის განყოფილების წევრებად იქმნენ აღიარებულნი, 13 აპრილს ამა წლისა ქ. ქუთაისში თავი მოიყარეს. ამ ასი წლის განმავლობაში ეს პირველი თავისუფალი და უშიშარი თავყრილობა არის იმერეთის სამღვდელოების წარმომადგენლებისა. ჩვენი მტრები მარად ჟამს იმას გაიძახოდნენ, რომ ქართველ ერს და მის სამღვდელოებას „უპეკუნოდ“ ცხოვრება არ შეუძლიანო. ამ ყალბ დებულებას ნიადაგი არა ჰქონდა, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავდა. ჩვენი ერის უსუსურობის უსაფუძვლობა ეხლანდელმა იმერეთის სამღვდელოების კრებამ ნათლად დაამტკიცა. ამ კრებამ ნათლად გაითვალისწინა, რომ იმერიის ეკლესია ჯერ კიდევ არ არის შარავანდედით შემოსილი, შესაძლოა, რომ მას კიდევ ბევრი შავ ბნელი დღეების გადატანა მოუხდეს, ამისათვის ერთხმად დაადგინა იმ ოთხმოცდაცხრა ათასი მანეთიდან, რომელიც მის ხელთ ქვეშ არის ურთი ერთშორის გასანაწილებლად ათი ათასი მანეთი გადაიდვას საერთო მოულოდნელი საჭიროებისათვის; ათას ხუთასი მანეთი მიეცეს მხვედრ წილს გარდა დაჩაგრულ ზემო სვანეთის სამღვდელოებას; სამასი მანეთი მიეცეს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში კურს დასრულებულს ახალ გაზდა სტუდენტს ზაალ ჩიხლაძეს და თითეულ მედავითნეს მიეცეს იმდენი, რამდენიც მღდელს ერგოს. ძველმა დახავსებულმა რეჟიმმა ქართველ სამღვდელოებასაც ბევრი სადავო შინაური საქმეები დაუტოვა, მაგრამ ტყვეობისაგან განთავისუფლებული სამღვდელოება ადვილად იშორებს თავიდან ამ სადავო საკითხებს ერთ ასეთ სადავო საკითხს შეადგენდა მღვდელსა და მედავითნეს შორის შემოსავლის განაწილება. ძველი რეჟიმის დროს მედავითნეს შემოსავლიდან მეოთხედი ეძლეოდა, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მღვდელსა და მედავითნეს შორის.

ეს დაუსრულებელი სადავო კითხვა თავისუფალმა სამღვდელოებამ ერთი კალმის მოსმით გააუქმა და ერთხმად დაადასტურა ამიერიდან მედავითნეებს შემოსავლიდან მესამედი ნაწილი მიეცეს. თავისუფლების მოტრფიალე იმერეთის სამღვდელოების წარმომადგენლებმა დიდათ განიხარეს მღვდელმთავრის კირიონისა და მამა არხიმანდრიტის ამბროსის სამშობლოში ჩამოსვლით და ერთხმად დაადგინეს მიულოცონ მათ, რომ განგებამ ისინი ააცდინა გენათელის და ქუთათელის მოწამეობრივ სიკვდილს და სამშობლო მშვიდობით დაბრუნდნენ. კრების მსვლელობა დაჩრდილა მხოლოდ ბ. ერასტი თუღიბერიძის საქმემ. მართალია, გიორგი ეპისკოპოზს თავის კანცელარიაში მექრთამეობა ერთობ ოსტატურად ჰქონდა დაყენებული, მაგრამ ბ. მღივნის ოინები მაინც ყველამ კარგად იცოდა და გული ყველას ბოღმით ჰქონდა სავსე. კრება ფიქრობდა, რომ ბ. მღივანი თავის მართლებას არ შეუდგებოდა და ამის გამო უფრო ლმობიერად უნდოდა მოქცეოდა მას, მაგრამ ბ. თუთბერიძემ თავის თავი წყნარ მუშაკად, ენერგიულ საზოგადო მოღვაწედ და დიდებულ სოციალისტად დასახა, რამაც ერთ გვარი დისონანსი შეიტანა კრების წევრებში. მღივნის საქმე დახურულ სხდომაზე უნდა გადასწყდეს შემდეგში.

მ. ბუაჩიძე.

## წერილი ახალციხიდან

პროვოკაცია და ცრუ ხმების გავრცელება რომელიმე ერის ან პარტიის შესახებ, რომავნებს საერთო საქმეს, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. უკეთუ ნაძირალები და ბნელი ძალები დღესაც ვერა გრძნობენ დემოკრატიის სიმტკიცეს და ძველ გზას არა სცილდებიან, ხვალ ამას იგრძნობენ და შესაფერ პასუხსაც მიიღებენ. ხალხი უკვე გამოვიდა თვითმპყრობელობის სიბნელიდან და განვითარების გზას ადგება. ეხლა მას ისე ადვილად ვეღარავინ მოატყუებს.

ამა აპრილის ექვსში აქაურ ქართველ კათოლიკეთა ყრილობა მოხდა, რომელზედაც დაადგინეს უარჰყონ სომხური ტიბიკონის უღელი და თავიანთ ეკლესიებში წირვა-ლოცვა სამშობლო ენაზედ აწარმოვონ. ყრილობამ კომისია აირჩია, რომელსაც დაევალა სხვებთან ერთად იშუამდგომლოს რომის წმიდა ტახტის წინაშე, რათა აღდგენილ იქმნას ქართ. კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში. ასეთივე დადგენილება გამოიტანეს ჩვენი მაზრის ქართველ-კათოლიკეთა სოფლებმაც: უდე, ვალე, არალი, ხიზაბავრა და სხვ. აპრილის 9-ში ამ კომისიების საერთო კრება მოხდა, რომელზედაც არჩეულ იქმნა ქართ.-კათ. სამაზრო კომიტეტი და დაევალა თბილისის ცენტრალ კომიტეტთან ერთად მუშაო დაქვრივებულ კათედრის აღდგენის თაობაზე.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ხალხის ეროვნულსა და ეკონომიურ კეთილდღეობას დღეს მრავალი მტერ-მოყვარე ჰყავს შინ თუ გარედ. ამათ, წარმოიდგინეთ, საკუთარი ორგანოებიც კი აქვთ, როგორც „მშაკი“, „კავკ. სლოვო“ და მისთანანი. როგორც ღრუბლის პატარა ნაჭერს ვერ ძალუძს სამუდამოდ დაჩრდილოს ცხოველ-მყოფელი მზის სხივები, ამავე რიგად ჩვენი პოლიტიკური ნაძირალებიც ვერ მოახერხებენ ხალხს სამართლიან მოთხოვნილებაზე ხელი აალებინონ, ან ეროვნულ და კულტურულ უფლებათა აღდგენის სურვილი ჩაუქრონ. მაგრამ პროვოკატორთა მოქმედება საქმის წინსვლელობას დროებით მაინც ხელს უშლის და ამიტომაც მათი გესლიანი მოქმედების უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელია.

ამ დღეებში სოფ. აწყურში, სადაც ქართველი მაჰმადიანობა სცხოვრობს, ენაც და გვარებიც წმინდა ქართული აქვთ, მივესალმე ჩვენს მაჰმადიან ძმებს და ვუსურვე ყოველი კეთილი. ჯუმა დღე იყო (პარასკევი), კარგი ამინდი იდგა. ხალხი ბაზარში გამოსულიყო, ყავახანების კარებთან ჩამომსხდარიყვნენ და დღევანდელ ჭირ-ვარამზე მუსაიფობდნენ. ლაპარაკი ჩამოვარდა ჩვენს ეროვნულ საჭიროებაზე, დღევანდელ ეროვნულ იდეის განხორციელების შესახებ. კარგა ხანს ვიმუსაიფეთ ძმურად, ამხანაგურად და ერთმანეთის პატივისცემით. ამ დროს ერთი მოხუცი წამოდგა და შემდეგი მითხრა:—ყარდაშ, ჩვენ სისხლით და ხორცით ერთნი ვართ, ქართველები ვართ. ჩვენ მოწადინე ვართ ჩვენს ქრისტიან ძმებთან ერთად ვიმუშაოთ, მხოლოდ კი ჩვენს რჯულზედ უნდა დავრჩეთ, ჩვენ სხვა რჯულზე არ წავალთო. მოხუცის ასეთ სიტყვებმა მე ძალიან გამაოცა, გამაკვირვა. ვკითხე, აგეთი იჭვი თქვენში რამ გამოიწვია მეთქი? მოხუცმა შემდეგი მიამბო:

გუშინ აქ ერთი ახალციხელი სომეხი ჩამოვიდა. იმან გვითხრა, რომ რაბათში (ქართველებით დასახლებული ნაწილია ახალციხისა) ქართველებს დიდი ყრილობა მოუხდენიათ და ქართველ ფრანგებისთვის უთქვამთ, რომ რახან თქვენ სისხლით და ხორცით ქართველები ხართ, თქვენი ფრანგის რჯული (ე. ი. კათოლიკობა) დასტოვეთ და ჩვენი რჯული მიიღეთო. ბევრი ფრანგი დათანხმებულა და რჯული უნდა გამოიცვალონო. აი ასეთი ამბავი მოგვიტანა იმ სომეხმა. არა, ყარდაშ, რჯულის გამოცვლაზე ჩვენ თანახმა არა ვართ.

მე, რასაკვირველია, ჩვენს მაჰმადიან ძმებს ავუხსენი ქართ. კათოლიკეთა ყრილობის მიზანი, დაწვრილებით გავაცანი მათი მისწრაფება და ბოლოს დავსძინე, რომ ქართველი ერი ყველა სარწმუნოებას პატივისცემით ეპყრობა და ძმად არც კი მივიღებთ იმ ქართველ მაჰმადიანს, რომელიც თავის მუსულმან რჯულს უღალატებს მეთქი. აქ კი ყველა მიხვდა, თუ რა ჯურის პროვოკატორები დაძრწიან მათში და რა სწადიათ ამ პოლიტიკურ ნაძირალებს...

თვით ქალაქშიაც გაჩნდნენ ერთგვარი ნაძირალები. ესენი თურმე ათასგვარ ცრუ ხმებს ავრცელებდნენ აქაურ ქართველ-მუსულმანთა შესახებ, ათასგვარ ცილსა სწამებდნენ ამ მშვიდობიან ხალხს და მათზე ჯარისკაცებს უსისინებდნენ. ეს ისეთი საზიზღარი ჭორებია, რომ მათი აღნიშვნა გაზეთის ფურცლებზე საჭიროდ არ მიმაჩნია, ვინაიდან ყველა გაზეთი „Кавказск. Слово“ არ არის. ამას ყურადღება მიაქცია, როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ, ისე სამხედრო საბჭომ და მარტის 13-ში დიდი მიტინგი გამართეს, რომელზედაც დაჰგმეს სიბნელის მოციქულთა საქციელი და ჯარი გააფრთხილეს, რათა იგი პროვოკატორებს არ აჰყვეს და ყველა ასეთი წამქეზებლები კომიტეტში მიაბრძანონ ხოლმე შესაფერ „ჯილდოს“ მისაღებად. ამ მიტინგზე ილაპარაკეს სომხების, ქართველების, მაჰმადიანების და აგრეთვე ჯარის კაცთა წარმომადგენლებმა. ორატორებმა ნათლად დაგვიხატეს დღევანდელ მომენტის მნიშვნელობა და სიდიადე. მეორე დღეს ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭომ მოწოდების ფურცლები დაბეჭდა და ქუჩებში გააკრეს.

ასე ეკვეცება ფრთები პოლიტიკურ ნაძირალთა გესლიან გულის თქმას, ასე იმარჯვებს ფხიზელი დემოკრატია ბნელ ძალებზე.

არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ აგრეთვე იმ ვაჟბატონების მოქმედებასაც, რომლებიც სოციალ-დემოკრატების სახელს იჩემებენ და გაიძახიან, ვინც ავტონომიას მოითხოვს, ის უსათუოდ თავადების მომხრეა და ბატონყმობის აღდგენა სწადიანო და სხვ... ალბად ფინეთში, ლიტვაში, უკრაინაში, ესტონიაში, ჩეხიაში და სხვა ავტონომიურსა და ავტონომიის მომხრე ერებში ბატონყმობა უკვე აღდგენილ იქმნა და საქართველოშიაც ეხლა ბატონ-ყმობის აღდგენას ეპირებიან ჩვენი ავტონომისტებიო. არ ვიცი, რომელ კარაბადინიდან ამოიკითხეს ამ ვაჟბატონებმა ასეთი „მეცნიერულ-ისტორიული“ გამოკვლევანი. კარგი იქნება, რომ თვით დასელთა ბელადებმა განუმარტონ ამ უმეცარ ვაჟ ტონებს, ვისიმდა სოციალ-დემოკრატებს, რომ არცერთ ზემოხსენებულ ქვეყნებში ბატონყმობა არავის აღუდგენია, რომ ავტონომია ხალხის თვითმართველობას ნიშნავს და არა ბატონყმობის აღდგენას ან სხვა ერთა დაჩაგვრას. ვფიქრობ, რომ ბოლოს ამ უმეცართა მოქმედებამ ჩვენს დასელებს დათვური სამსახური არ გაუწიოს... დღეს ხალხი უკვე ამსხვრევს სიბნელისა და მონობის ბორკილებს, დღეს დემოკრატიას უკვე იმოდენა ინტელიგენტური ძალა, სიმხნევე და სიმტკიცე შესწევს, რომ ასეთ ჭორებს ფარდა ახადოს და საზოგადოებას დაანახვოს მათი სამარცხვინო სიშიშვლე. საბედნიეროდ, ჩვენს მხარეში ამ ლათაიებს გავლენა არა აქვს, ვინაიდან სიმართლე არ დაიმალება და მომავალში უფრო ნათელი გახდება.

ვინმე მეხხთაგანი.

## შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადაუხადოთ აფიცერს ბ-ნ სიო ვლადიმირის ძე სეფერთელაძეს, რომელმაც თავის ნაცნობ მეგობრებში შეაგროვა და გამოგვიგზავნა ასკანის სამკითხველოსთვის 42 მ. და 72 კ. აქვე მოგყავს შემომწირველთა სია:

— 5 მ. კაპიტანმა ვოზნესენსკიმ; 10 მ. აფიცერმა სიო სეფერთხლაძემ; თითო მანეთი აფიცერმა :—ჟუკოვმა, ვისოცკიმ, უვარკინმა, დმიტრენკომ, კნიაგინინმა, კაჩინსკიმ, ჩანსკიმ, შეზპალკომ, დუშკევიჩმა, ლაპენკომ, ფასტოვეცმა, იანოვსკიმ, ჩულაენსკიმ, შვეცმა, სკიროდინმა, შუხაროვმა, მუზიჩუკმა, ზამახაევმა და მანემ.

შემომწირველთ უღრმესს მადლობას ვუხდით.

სამკითხველოს მოლარე მღვ.

ერმ. ჯაველიძე.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპიძე.
გამომცემელი ამხ. „საქართველო“.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევის ქუჩა, № 19.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი - გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს სად. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმ-ქალი
გ. მ. მუხაძე
იღებს ხადოსტაქრო ავადმყოფთ სადამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

# იყიდება
ორსართულიანი ქვითკირის სახლი
ყოველისფრით შემკული. გამოყვანილია წყალი, გაჭრილია არხი და სხვ.
მინკვიცევის ქუჩა № 22.
პირობები იკითხეთ შიო ქუჩუკაშვილთან: ანანურის მისახვევი, № 7.
(6-652-3)

ექიმი კბილისა
ე. ივ. გაღარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რუსთავის ქუჩის კუთხე № 20.

ე. ლ. შალამბერიძე
იღებს სახებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ სადამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ჩოლოყაშვილის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სადამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ სადამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღის ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა სადამოს 5—7 საათამდე, შილინსკის ქ. № 4. (ი.—202—)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ოლღის ქ. № 8.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.12 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 8 | „ 58 „ | დილ. |

თფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6.24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

თევზის მრეწველნი
ძმ. მესხელიძეები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სხვა ვაჭრო სახლ. „ძ. მესხელიძე-ზმით, სა მრეწველოებიდან ახალი ქვირითის ზაზიდალი, მცირე მარილიანი, შავი „მე შიჩნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სადიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

# ქარების (რევმატიზმის),
# ნეკრესის
# თირკმელების (ჭაჭების)
და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „უროდონალ“, და მაზი წასასმელი „ატრო“, სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „ურდონალისა“ ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელ წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „ურდონალი“ და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო“. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის სა ფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.
თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მ დობლად.
Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.